გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№404 (463) 4-25 აპრილი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: შემაშფოთებელი ამბები სირიიდან

გვ.2

## ომარ გოცაძე: ქართული განძი და, მისი დაბრუნების ახლად აღმოჩენილი აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალები

გვ.3

## ქართველ მეომართა წერილები

გვ.5

## ჭ. ჰამლეტიძე: ნატოს მისამართით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი

გვ.7

## ომარ გოცაძე: ქართველი ტროცკისტები და მათი გააქტიურებული ლაშქრობა ივანიშვილის წინააღმდეგ

გვ.8



## თენგიზ კუბლაშვილი: იაპონური აიკიდო და ქართული დაიკიდო?!

გვ.6



## დიდი მსახიობის გივი ბერიკაშვილის მოსაგონარი

გვ.11



## 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი ლიდერი ევგენი ევტუშენკო გარდაიცვალა...

გვ.9



## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.4

## პ. ზაქარაია: აღდგომის დღესასწაულები სამეგრელოში

გვ.10

იესო ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ “უქმეთა უქმეა და დღესასწაულთა დღესასწაული”. მეგრელთა წარმოდგენითაც ვერწემი დღაჩუ (დიდზე დიდი დღესასწაული) იყო და მისთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდნენ მთელი დიდმარხვის (დიდ პიჩვანის) განმავლობაში.

# შემაშფოთებელი ამბები სირიიდან

მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) შეგვახსენა, რომ 21-ე საუკუნის ჭირი განუკურნებელი სენია, მასთან ბრძოლა არც ისე იოლია და საყოველთაო კონსოლიდაციას, საერთო ძალისხმევას მოითხოვს. სამძიმარი, რომელიც მსოფლიოს ლიდერებმა გამოთქვეს რუსეთის პრეზიდენტისა და ქვეყნის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ საერთო მტერთან საბრძოლველად ისინი მზად არიან ძალ-ღონე არ დაიშურონ, მაგრამ...

სანკტ-პეტერბურგის აფეთქებიდან ერთი დღის შემდეგ სირიის პროვინცია იდლიბის ერთ-ერთი ქალაქის დაბომბვამ დასავლელთა მიერ რუსეთის მიმართ გამოთქმული სამძიმრის სიტყვები, ჩვეულ, ძველებურ რიტორიკაში გადაიყვანა – სისხლისმსმელი, ჯალათი ბაშარ ასადი და მისი მხარდამჭერი რუსეთის პრეზიდენტი პუტინი.

არადა, სანკტ-პეტერბურგის ტრაგედია, რამაც თითქოს დააახლოვა (გაჭირვებაში) დასავლეთ-რუსეთი, ილუზია გამოდგა. საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს ინიციატივით სასწრაფოდ მოიწვიეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც დაგმო სირიის სამთავრობო ავიაციის მიერ ქიმიური ბომბებით ქალაქის დაბომბვა და 72 ადამიანის, მათ შორის მოხუცებისა და ბავშვების დახოცვა.

უშიშროების საბჭოს სხდომის დროს აშშ-ს წარმომადგენელმა დამსწრეებს წარუდგინა დაზარალებულთა ფოტოსურათები და ბარბაროსობად შეფასებული თავდასხმა, როგორც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადზე, ისე რუსეთის ხელისუფლებაზე გადაანაწილა.

მკაცრი და პირდაპირი დადანაშაულების დემონსტრირება მოახდინეს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, რაც აისახა კიდევაც რეზოლუციის პროექტში, რომლის მიღებას არაფერი აკლდა, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელმა, ყოველგვარი გარეგნული ემოციის გარეშე, აღნიშნა, რომ საკითხი შესასწავლია და ემოციურ ტალღაზე რეზოლუციის მიღება, თანაც ფაქტების გამოკვლევის გარეშე მიუღებელია.

ინიციატორი ახალი ანტირუსული შეტევისა ისევ აშშ-ს მედია იყო. მას უმალ აუბა მხარი მსოფლიოს სხვა მედიასაშუალებებმა და ახალი ძალით აგორდა ანტისირიულ-ანტირუსული კამპანია – ურჩხული ასადი და არანაკლებ ურჩხული პუტინი. ეს კამპანია კარგა ხანს გაგრძელდება, მანამდე, ვიდრე ახალი ანტირუსული პროპაგანდა არ ჩაანაცვლებს ძველს და ასე გაგრძელდება დიდხანს, ვიდრე ერთ-ერთ სუპერსახელმწიფოს კისერი არ მოტყდება.

აშშ-ს პოლიტიკური წრეები, ისე, როგორც მუდამ, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დღემდე აწარმოებენ ანტირუსულ პოლიტიკას, რაც არა მარტო მედიასივრცით შემოიფარგლება, არამედ იმ სივრცითაც, რასაც სამხედრო მშენებლობა ჰქვია. **"მტერი რუსეთი"** ხელს ათბობინებს, როგორც ამერიკულ სამხედრო კომპლექსებს, სამხედროებს, ისე პოლიტიკოსებს.

არ იქნებოდა რუსეთის **"მოსალოდნელი"** აგრესია და არ იქნებოდა თავდაცვის დარგის გაძლიერებისთვის გამოყოფილი მსუყე საბიუჯეტო თანხები. ვიღაც უნდა იყოს მტერი, რომელიც შიშს მოჰგვრის ამერიკელ გადასახადის გადამხდელს და ნეგატიურად არ განაწყობს მას საბიუჯეტო თანხების შეიარაღებაში დახარჯვაზე.

რამდენი სახელმწიფო ორგანიზაცია **"ზრუნავს"** აშშ-ს მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრებისთვის? – **"ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა"**.

რამდენი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია **"იცავს"** მსოფლიო მშვიდობას? რამდენი გაზულუქებული, დამძიმებული გამომეტყველების მქონე ე.წ. პოლიტიკოსი არის მისეული სალაფავს, მაღალი ხელფასების სახით, მშვიდობის დაცვა რომ ჰქვია?! ვინ შეელევა ესოდენ ტკბილ ლუკმას სხვის დადანაშაულებაზე დაფუძნებულს?

არც არავინ! მაგრამ, ხომ შეიძლება სიტყვიერი-სამხედრო დაპირისპირების ზღვარზე მყოფი ვითარება ერთ მშვენიერ დღეს გასკდეს და ქვეშ მოიყოლიოს დამდანაშაულებელ-დადანაშაულებული? უდავოდ შეიძლება და ამიტომაც ცდილობენ ერთმანეთს პირდაპირ კი არ შეასკდნენ, არამედ ირიბად, სხვის ტერიტორიაზე, სხვისი ანუ ე.წ. მოკავშირის ცოცხალი ძალით. ამის დასტურია სირია, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება დასავლეთი და აღმოსავლეთი – რუსეთის, სირიის, ირანის სახით.

7 აპრილის ღამით განვითარებული მოვლენები სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა. ჯერ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა პენსმა განაცხადა, რომ თუ გაეროს უშიშროების საბჭო არ მიიღებს სირიის ხელისუფლების საწინააღმდეგო რეზოლუციას, ამერიკა ერთპიროვნულად გადადგამს ანტისირიულ ნაბიჯს. მოგვიანებით, პრეზიდენტმა ტრამპმა სპეციალური საჯარო გამოსვლის დროს დაადანაშაულა სირიის პრეზიდენტი ასადი და განაცხადა, რომ აშშ-ის უსაფრთხოებიდან გამომდინარე სირიის სამთავრობო ბაზების განადგურებას აპირებს, რასაც მოჰყვა ჰომსის ავიაბაზის დაბომბვა, 15-ზე მეტი თვითმფრინავის განადგურება, სირიელი სამხედროების მსხვერპლი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ტილერსონმა განაცხადა, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია განიხილავს ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საკითხს, რაზეც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა აღნიშნა, რომ ამერიკის ქმედება არის სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა და მისი სუვერენიტეტის გათელვა.

არვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციისა და პოლიტიკური წრეების მიერ აგორებული ანტისირიული სამხედრო აგრესია უდავოდ გამოიწვევს რუსეთის სამხედრო ქმედებას. თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას, როგორც რეგიონისთვის, ისე მსოფლიოსთვის ცნობილია. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების კარიბის ზღვის კრიზისის შემდეგ აშშ-რუსეთი არ ყოფილან ბირთვული ომის წინაშე ისე ახლოს, როგორც დღეს.

არ იქნებოდა სირია, იქნებოდა ჩრდილო კორეა. ამ თემის გააქტიურებაზე რახანია მუშაობს აშშ-ს მედია და პოლიტიკა. დღე ისე არ ჩაივლის, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ არ დაგმოს ფხენიანის მოქმედება, განსაკუთრებით ახალი იარაღის, მათ შორის ბირთვულის გამოცდის დარგში. არვინ კითხულობს, რა აიძულებს ჩრდილო კორეის ხელისუფლებას, საკუთარი მოსახლეობის მოკრძალებული ცხოვრების ფასად, ძვირადღირებული იარაღის შექმნაში. იქნებ ეს ნაბიჯი საკუთარი თავის თავდაცვის ინსტინქტითაა გამოწვეული და არა აგრესიით, რომელსაც მას აწერენ?

დასავლურად, **"აგრესია"** ნიშნავს ორი კორეის გაერთიანებას, ჩრდილო კორეის დროშის ქვეშ, მაგრამ რეალურად, ფხენიანს სურს თავი დაიცვას ამერიკა-სამხრეთ კორეის გაერთიანებული არმიის მოსალოდნელი შეტევისგან. სხვას ვერაფერს იფიქრებს ის სისტემატური სამხედრო წვრთნების და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების სამხრეთ კორეაში განლაგების შემხედვარე.

იყო მცდელობა საკითხის დიალოგით მოსაგვარებლად?

იყო, მაგრამ უშედეგოდ. ჩრდილო კორეის ხელისუფლება წავიდა მთელ რიგ დათმობაზე, მაგრამ აშშ-ა აღარ შეასრულეს დანაპირები. ვითარება კონფრონტაციულს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, აშშ-ს აწყობს მუდამ ჯიუტი ფხენიანი, რაც მას კრიტიკულ ვითარებაში ამ რეგიონში სამხედრო ჩარევის შესაძლებლობას აძლევს.

ასე რომ, ჩრდილო კორეა სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც იოლად შეიძლება ჩაენაცვლოს სირიას. ჩრდილო კორეის შემთხვევაში აშშ-ი მეორე კონკურენტს – ჩინეთს უპირისპირდება, რომელსაც მოკავშირული ურთიერთობები აქვს ფხენიანთან, ნაწილობრივ რუსეთს. რაც შეეხება სირიას – აქ რუსეთის როლი უმნიშვნელოვანესია. რუსეთის პირდაპირმა ჩართვამ სირიის კონფლიქტში, არა მარტო ბაშარ ასადის ხელისუფლება გადაარჩინა დამხობას, არამედ მსოფლიო იხსნა **"ისლამური სახელმწიფოს"** მიერ სირია-ერაყის ტერიტორიებზე გამაგრებიდან და ფართომასშტაბიანი, გლობალური ტერორისტული შეტევისგან.

რუსეთისა და ირანის დახმარებით სირიის არმიამ გაანთავისუფლა ქალაქები პალმირა და ალეპო, სხვა მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები, მნიშვნელოვნად გაიფართოვა სახელმწიფო კონტროლი მთელ რიგ ტერიტორიებზე. სირიის ხელისუფლება წელში გაიმართა და იმედი გაუჩნდა ტერორისტებისგან ქვეყნის განთავისუფლების. ასაღებია სირიის ქალაქი რაქა, **"ჯებხატ ან ნუსრას"** დედაქალაქი და თუ ეს მოხდა, ექვსწლიანი ომი სირიის პრეზიდენტის გამარჯვებით დასრულდება.

აწყობს ეს აშშ-ს, კოლექტიურ დასავლეთს და მათ მოკავშირე ზოგიერთ მდიდარ არაბულ ქვეყანას?

პირდაპირ შეიძლება ითქვას – არა! სირიის პრეზიდენტის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთ-ირანის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში კარდინალურად განმტკიცდება. რუსეთი გახდება ნომერ პირველი მოთამაშე ირანთან ერთად, რაც დასავლეთისთვის, აშშ-ის მიუღებელია.

ვინ წამოიწყო სირიაში ომი, ვინ მიუსია ამ ქვეყანას მსოფლიოს 80-ზე მეტი სახელმწიფოს ტერორისტები? ვინ აფინანსებდა მათ, ვინ აწვდიდა იარაღს? ვინ შექმნა **"ისლამური სახელმწიფო"**?

აი, ის კითხვები, რომლებიც სისტემატურად ისმება, მაგრამ მიუხედავად საფუძვლიანი პასუხებისა, ვითარება არ იცვლება. შორს რომ არ წავიდეთ – **"ისლამური სახელმწიფოს"** შექმნაში ტრამპმა წინამორბედი ობამა დაადანაშაულა და ისიც თქვა, რომ 6 წლის განმავლობაში აშშ-ა 6 ტრილიონი დოლარი დახარჯა ახლო აღმოსავლეთის ომებში. დახარჯა ფუჭად, ვინაიდან აშშ-ს მიერ შექმნილმა ანტიტერორისტულმა 60-ქვეყნიანმა კოალიციამ წლების განმავლობაში ვერაფერი გააკეთა, უფრო სწორად გააკეთა ტერორისტთა სასარგებლოდ.

მაინც რა ამოძრავებდა და ამოძრავებს დასავლეთს?

ბაშარ ასადის დამხობა და სირიის ტერიტორიის დაყოფა – ქურთებზე, შიიტსუნიტებზე; სირიის სიმდიდრეების (ნავთობი და გაზი) ხელში ჩაგდება; ირანის განდევნა სირია-ერაყიდან; ირანის მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაცია **"ჰესბოლას"** (იორდანია) განადგურება; პალესტინის ორგანიზაცია **"ჰამასის"** მორჯულება და ა.შ. საბოლოო ჯამში ერთპიროვნული ხელის ფათური ახლო აღმოსავლეთში.

> **ამერიკელთა სამწუხაროდ, მოვლენები საწინააღმდეგოდ ვითარდება. რუსეთმა მოახერხა თურქეთის დაყოლიება და მისი ანტიასადური განწყობის პოზიტიურობისკენ შეცვლა, რამაც უბიძგა სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების დაწყებას. რუსეთი, ირანი, თურქეთის თავმჯდომარეობით და გაეროს აქტიური ძალისხმევით ყაზახეთის ქალაქ ასტანაში არაერთი სამშვიდობო მოლაპარაკება გაიმართა, რომელიც შემდეგ ჟენევაში გაგრძელდა.**

რუსეთ-ირანის და დასავლეთის მიერ ათვალწუნებული თურქეთის ძალისხმევით მიღწეულმა წარმატებამ შეაშფოთა დასავლეთი, რომელიც მოლაპარაკების მაგიდიდან გარიყული აღმოჩნდა და ნაცვლად იმისა, თვით გამოეჩინა ინიციატივა საერთო საქმის (ტერორიზმი) წინ წასასწევად, ფეხის დადებას მიჰყო ხელი. რა არ დაბრალდა რუსეთს – საავადმყოფოებისა და სკოლების დაბომბვა, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი და ა.შ. ბოლო თავდასხმაც, ცხადია ცილისმწამებლური და ფალსიფიცირებულ ვიდეო, ფოტო მასალაზე დაყრდნობილი, ამის დასტურია.

ტერიტორიას, რომელიც სირიის თვითმფრინავებმა დაბომბეს, ტერორისტული ორგანიზაცია **"ჯებხატ ან ნუსრა"** აკონტროლებს. როგორ აღმოჩნდნენ იქ ამერიკელი, დასავლელი ჟურნალისტები?

არც ერთი მათგანი იქ არ ყოფილა. მაშ რას ეყრდნობა მათი მასალები? – ინტერნეტში ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ მასალას? ხომ შეიძლება მათ მიერ გავრცელებული ვიდეო და ფოთო მასალები ტყუილი იყოს? – დასავლეთისთვის ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, მთავარია კომპრომატული მასალა ასადისა და პუტინის გასაშავებლად და მსოფლიოს თვალში მათი მტარვალებად წარმოსაჩენად. მთავარია პოლიტიკა.

დასავლურ პროპაგანდას რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზახაროვამ ამ უწყების მოსაზრება შეაგება. დავუშვათ, ის ტყუის. გაეროს უშიშროების საბჭოზე გამოსული ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი დიპლომატებიც ტყუიან, ვინაიდან დიდი პოლიტიკა მოითხოვს ამას. რომელი მხარე ტყუის უფრო? ამის სწრაფად დადგენა შეუძლებელია.

მანამდე კი ამერიკულმა და მასზე აყოლილმა მედიამ თავისი ბინძური საქმე გააკეთა, რითაც არა მარტო ასადი და პუტინი გააშავა, არამედ ტრამპიც, რომელიც ამბობდა, რომ ამერიკა აღარ მოითხოვს ასადის დაუყოვნებლივ გადადგომას. ეს პოზიცია კარდინალურად განსხვავდებოდა ობამას ადმინისტრაციის პოზიციიდან.

რახან არცერთი მხარის არ გვჯერა, უბრალო ლოგიკას მივდიოთ – თუ ასადმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ის მწვავე გაკიცხვას იმსახურებს, მაგრამ რატომ უნდა გამოეყენებინა მას ეს იარაღი?

ჯერ ერთი, რამდენიმე წლის წინ, თვით აშშ-ს ჩართულობით, განადგურებული იქნა სირიის სამხედრო ძალებში არსებული ქიმიური იარაღი, რის შემდეგ ასადის იმიჯი მსოფლიოში გამოსწორების გზას დაადგა და ასეთ დროს ისევ, იმ იარაღის გამოყენება, რომელიც მას ცუდზე მეტს არაფერს მოუტანს?

იდლიბის ტერორისტებისგან განთავისუფლება დროთა ვითარებაში რომ მოხდება, გარდაუვალია. ვითომ ქიმიური იარაღის გამოყენებით ასადმა დააჩქარა პროცესი? არამცდაარამც. თუ ვინმეს არ სჭირდებოდა ასეთი **"გამარჯვება"**, ასადი იყო.

რაც შეეხება რუსეთს, არც მას სჭირდება სახელის გატეხვა, ვინაიდან თითქმის დასასრულს მიახლოვებული სირიული ეპოპეა – სირია, ირან, რუსეთის წარმატების ამსახველი იქნება. ასეთ ვითარებაში მხოლოდ სულელს, გონებიდან გადასულს შეეძლო ქიმიური იარაღის გამოყენება. ასეთად არც ასადი მესახება, არც პუტინი და არც ირანის სულიერი ლიდერი ხამენეი.

ტერორისტების მიერ განხორციელებული ავტოთავდასხმა (ავტოპორტრეტის მსგავსი) არაერთხელ ვიხილეთ, ცხადია სხვაზე გადაბრალებით, რასაც ამ შემთხვევაშიც აქვს ადგილი. მათ დრო იხელთეს და აშშ-ს მიერ სირიის პოზიციების დაბომბვის შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ქართული განძი და, მისი დაბრუნების ახლად აღმოჩენილი აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალები

უამრავი მასალაა გამოქვეყნებული საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი ქართული განძის დაბრუნების თაობაზე. ამ მიმართებით ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის წარმოსაჩენად, უდიდესი შრომა აქვს გაწეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორს, ბ-ნ როინ მეტრეველს, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი როინ მეტრეველი ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედების, არა მარტო ყველაზე პროფესიონალი და კომპეტენტური მკვლევარია, არამედ მისი მემატიანეცაა. ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა, ბოლო დროს მისი რედაქტორობით გამოცემული შესანიშნავი წიგნი, "დიდი ექვთიმე". სადაც, ბ-ნ როინის უშუალო ძალისხმევით, პირველად ქვეყნდება იმ უნიკალური დოკუმენტების ქსეროასლები, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, სტალინის გადამწყვეტი როლი, მისი დიდი ღვაწლი, ინტერესი და ზრუნვა, განძის საქართველოში დაბრუნებისათვის. საქმე ეხება 1935 წელს. აღმოჩენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, ქრონოლოგია ასეთია: სტალინს, ამ საკითხის მოგვარება მაშინდელი ცკ-ს მდივნისთვის, ეჟოვისათვის დაუვალებია.

მან, თავის მხრივ, სტალინის ეს დავალება შესასრულებლად ლიტვინოვსა და იაგოდას დაავალა, მათ კი თავიანთ მოადგილეებს კრესტინსკისა და აგრანოვს.

ეს ყველაფერი დასტურდება კრესტინსკის (1935წ 9-სექტემბერის №1480) და აგრანოვის (1935წ 6 სექტემბრის №56916) მიერ ეჟოვისადმი გაგზავნილ წერილებში, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით მოპოვებული მასალებია აღწერილი და თავიანთი მოსაზრებები ჩამოყალიბებული. ფაქტია რომ, ეს ყველაფერი ეჟოვმა სტალინს მოახსენა. ამის დასტურ, 27-სექტემბერს სტალინი ამ საკითხს უკვე პოლიტბიუროზე იხილავს და, პოლიტბიუროს სრულიად საიდუმლო №333/324 დადგენილებით, იაგოდასა და კრესტინსკის ავალებს ერთობლივი წინადადების შემუშავებასა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვას, ამ საკითხის საბოლოოდ მოგვარებისათვის. საპასუხოდ, იმავე წლის 29 სექტემბერს №1517 წერილით კრესტინსკი შემდგომი ქმედებებისათვის, თავისა და აგრანოვის მოსაზრებას, აცნობს სტალინს. მიუხედავად სტალინის დიდი მცდელობისა, საფრანგეთის ხელისუფლებამ, რომელმაც ჯერ კიდევ ერიოს პირველი კაბინეტის დროს – 1924წელს – ცნო საბჭოთა კავშირი, ამ მიმართებით მაინც არაფერი გააკეთა, ამხელა ქვეყნის პირველ პირს, ანგარიში არ გაუწია და უყურადღებოდ დატოვა. ყოველ შემთხვევაში, სტალინის მხრიდან განძის დაბრუნების მეორეჯერ მცდელობასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამ მიმოწერებში ყველაზე საინტერესო მაინც აგრანოვის, ანუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ეჟოვისადმი გაგზავნილი წერილია, სადაც მოხსენიებულია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამ განძის საქართველოში დაბრუნების მცდელობა, პირველად 1926 წელს იყოო. როგორც ჩანს, საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე ეს საკითხი ჯერ კიდევ შორეულ 1926წ. დაუყენებია სტალინს, საფრანგეთში მაშინდელი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ არავითარი შედეგი არც ამ მცდელობას არ მოჰყოლია. აქ უკვე ცხადი ხდება, თუ ვისი უშუალო დავალებით მისწერა წერილი დამიანე ჯგუშიამ 1923წ. იანვარში ექვთიმე თაყაიშვილს. თანაც ბ-ნი დამიანე ექვთიმეს წერს, რომ ხელისუფლება აპირებს ოფიციალური წერილით მიმართოს საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, განძის საქართველოში დაბრუნების თაობაზეო. დამიანე ჯგუშია იყო საქართველოს აკადემიურ საქმეთა წარმომადგენელი მოსკოვში, მას საიდან უნდა ჰქონოდა იმხელა უფლებამოსილება, რომ ასეთი სერიოზული საკითხის მოგვარება თავის თავზე აეღო. არა თუ დამიანე, საქართველოს პირველი პირიც კი ვერ გაბედავდა, თავის თავზე ამხელა პასუხისმგებლობის აღებას, სტალინთან შეთანხმების გარეშე. როგორც ჩანს, სტალინის ხელდასმით დამიანეს მიერ დაწყებული საქმე, იყო ექვთიმე თაყაიშვილის საშუალებით, კბილის მოსინჯვა საქართველოს ემიგრირებული მენშევიკური მთავრობისათვის, განძის უკან დაბრუნების თაობაზე. საქმის გაგრძელება იქამდე მივიდა რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1926 წელს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ეს საკითხი დააყენა საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე, თუმცა, ამ მცდელობას მაშინაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ბ-ნი ექვთიმე, საპასუხოდ წერს ბ-ნ დამიანეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ხელეწიფება მხოლოდ მენშევიკურ მთავრობას, მე კი არაფერი შემიძლიაო.

*ძვირფასო მკითხველო, თუ კარგად დააკვირდებით, ამას ამბობს კაცი, რომელიც მაშინდელი მანშევიკური მთავრობის სადამფუძნებლო კრების ამხანაგი, ანუ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. თანაც, მთავრობის წევრი და მათთან ერთად ამ ქონების ნამდვილი პატრონი და განმკარგავი. რატომღაც, ბ-ნი ექვთიმე განძის საქართველოში დაბრუნებაზე აქტიურ და გულმოდგინე მუშაობას, მხოლოდ 1935 წლიდან იწყებს.*

*მაშინ, როცა ის უკვე ერთი წლის წინ, საფრანგეთის სასამართლოს მიერ უპატრონო ქონებადაა გამოცხადებული და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემული. ახლა, მე თქვენ გეკითხებით, ბ-ნ ექვთიმეს ასეთი მონდომებით 1923-26 წლებში რომ ემუშავა, როცა თვითონ იყვნენ ამ ქონების ნამდვილი პატრონი, იქნებ დაეყოლიებინა კიდეც ბ-ნი ჟორდანია და განძიც საქართველოს სრულიად უმტკივნეულოდ დაბრუნდებოდა. მაგრამ, ეს რომ გაეკეთებინათ, მერე ამ მთავრობის დარდიმანდი წევრები რაღას გაჰყიდდნენ და თავს რითი ირჩენდნენ.*

ბ-ნი ექვთიმეს ზრუნვა, საქართველოდან გატანილი ქონების ნებისმიერ ნივთზე მისი შენარჩუნების თვალსაზრისით, ყოველთვის საგრძნობია. ბ-ნ ექვთიმეს, გაფრთხილებული ჰყავდა ყველა ქართველი ემიგრანტი, თუ ისინი საქართველოდან წამოღებულ რაიმე ნივთის გაყიდვას გადაწყვეტდნენ, პირველ რიგში მისთვის უნდა მიემართათ. იმ შემთხვევაში, თუ ბ-ნი ექვთიმე ვერ შეძლებდა ამ ნივთის გამოსყიდვას, ამის შემდეგ მათ შეეძლოთ ეს ნივთი უფრო სარფიანად სხვისთვის მიეყიდათ. მარტო ის რად ღირს, მთავრობას ფული რომ შემოაკლდა და ბ-ნ ექვთიმეს სთხოვეს, ჩამოეწერა სია იმ ქონებისა, რომელიც სამუზეუმო განძს არ წარმოადგენდა და, რომლის გაყიდვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ამ გასაყიდად ჩამოწერილ ქონებას, ბ-ნმა ექვთიმემ, როგორი ხელისკანკალით მიაწერა, "მართალია სამუზეიმო ქონებას არ წარმოადგენს, მაგრამ სასურველია არ გაიყიდოსო". რომ არა, ბანკის ვალების გადაუხდელობის გამო დაყადაღებული ეს განძი, ალბათ ამასაც ისე არხეინად გაჰყიდნენ და გაანიავებდნენ, როგორც დანარჩენი 2/3 გაყიდეს. უფრო მეტიც, საკასაციო ვადაც არ გამოიყენეს და, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ისტანციაშიც კი არ გაასაჩივრეს.

ბ-ნ ექვთიმეს განძის შენახვაში, მის მოვლა-პატრონობასა და საქართველოში მისი დაბრუნების მცდელობაში, რომ უდიდესი წვლილი მიუძღვის, ეს სადავო არაა და ამაზე არც არავინ კამათობს. ამას ყველა აღიარებს და ქვეყნის ამ თავდადებულ მამულიშვილს, ამ დამსახურებას მადლიერი ქართველი ხალხი ნამდვილად არ უკარგავს. საქართველოში არის მისი სახელობის ქუჩა, დგას ძეგლი და ბიუსტი, ხოლო მის მშობლიურ სოფელში, სახლ-მუზეუმი. ქართველმა ხალხმა აღიარა მისი ესოდენ დიდი დამსახურება და, ჩემი აზრით კუთვნილზე მეტი პატივიც მიაგო. უდიდესი პატივისცემის ნიშნად წმინდანად შერაცხეს, მისი ნეშტი მთაწმინდაზე გადაასვენეს და საქართველოს უკვდავ მამულიშვილებთან ერთად მიუჩინეს სამუდამო ბინა. მისი ხსოვნისა და სახელის უკვდავსაყოფად ამხელა პატივისცემა ძირითადად გამოწვეულია იმით რომ, რატომღაც დღემდე ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის სახელთანაა გაიგივებული, ქართული განძის საქართველოში დაბრუნება და, მის დამბრუნებლადაც ბ-ნი ექვთიმე ითვლება, რაც ასე სულაც არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბ-ნ ექვთიმეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ განძის დაბრუნების მცდელობაში, რომელიც სამწუხაროდ ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა და მის ესოდენ გულმოდგინე მცდელობას, "სტუმართმოყვარე მასპინძლები" არაფრად აგდებდნენ და პასუხის ღირსადაც არ თვლიდნენ. ამის დადასტურების ნათელი მაგალითია, მის მიერ გაგზავნილი წერილი 1935 წლის 8 მაისს, რომელითაც მან ფლანდელის კაბინეტს მიმარა. ივნისის დამდეგს ფლანდელი გადადგა და ახალი კაბინეტი მოვიდა ლავალის მეთაურობით, მაგრამ არც მას მოუკლია თავი ექვთიმეს წერილის წასაკითხად და მისთვის პასუხის გასაცემად. საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ასეთი უყურადღებობით შეურაცხყოფილი ბ-ნი ექვთიმე, იმედს არ კარგავს და ახლა უკვე ლავალის მთავრობაში ყველაზე გავლენიან პირს, სახელმწიფო მინისტრს ბ-ნ ერიოს მიმართავს. ამ მიმართვას თან დაურთავს ფლანდელის სახელზე გაგზავნილი წერილის ასლს, მაგრამ არაფერი, არავითარი ყურადღება, პასუხის ღირსად არც ამჯერად გახადეს. ამის შემდეგ ბ-ნი ექვთიმე უკვე ბლუმის ხელისუფლებასთანაც ცდის ბედს, რადგან თვლიდა, რომ იგი კარგ ურთიერთობაში იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. ბ-ნმა ექვთიმემ, თურქეთში საქართველოს დევნილი მთავრობის ყოფილი წარმომადგენლის, ბ-ნ სიმონ (სოსიკო) მდივნის ხელით, ახალი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ბლუმს, მაგრამ არაფერი, ამჟამადაც დაპირება დაპირებად დარჩა. ამის შემდეგ ილაპარაკო და, ბ-ნი ექვთიმე განძის დამბრუნებლად შერაცხო, ამ საქმის გმირად გამოაცხადო და შარავანდედით შემოსო, რბილად რომ ვთქვათ ცოტა უხერხულია. მიუხედავად მისი დიდი სურვილისა და მონდომებისა, გატანილი განძი სამშობლოსთვის დაებრუნებინა, მან ვერ შეძლო და სხვამ გააკეთა. ამიტომ, ის, რაც მან ვერ შეძლო და სხვამ გააკეთა, მას არ უნდა დავაბრალოთ. მითუმეტეს მას, როგორც მართლა უწესიერეს და ღვთისნიერ კაცს, თვითონ არასოდეს უთქვამს, რომ განძი მე დავაბრუნეო. ამასთან აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელი კრების მიერ ბ-ნი ექვთიმე, მხოლოდ განძის მცველად იყო დანიშნული, რომელსაც კანონმდებლობის შესაძლებლობის ფარგლებში ღირსეულადაც ართმევდა თავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1934 წლის 8 მაისს, ბანკის ვალების გადაუხდელობისა და სალომე დადიანი-ობოლენსკაიას სასარჩელო განცხადების თანახმად, სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და, როგორც უპატრონო ქონება იგი საფრანგეთის საკუთრებად გამოაცხადა. რადგან ამ დროს უკვე ძალაში იყო შესული სსრკ-საფრანგეთს შორის დადებული 1932 წლის 29 ნოემბრის პაქტი, რომლის რატიფიკაცია საფრანგეთის პარლამენტმა 1933 წლის თებერვალში მოახდინა. ამ პაქტის მე-5 მუხლის თანახმად, ამ განძის მფლობელი საქართველოს მენშევიკურ მთავრობა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. სასამართლომ საფრანგეთის სახელმწიფო საკუთრებაში გადასული განძის ახალ მცველად, ფრანგი მოხელე პიერ ჟოდონი გაამწესა და შესანახადაც ეს ქონება მას ჩააბარა. ფაქტობრივად, თითქმის 11 წლის განმავლობაში ბ-ნი ექვთიმე უკვე ჩამორთმეულ განძს, ანუ სხვის ქონებას მწყემსავდა, თუმცა მოსამწყესიც აღარაფერი ჰქონია, ეს განძი უკვე საფრანგეთის საკუთრებაში იყო გადასული და მას ამ განძთან ახლოსაც არ აკარებდნენ, რადგან მისი მწყემსიც და განმკარგავიც, უკვე ფრანგი მაღალჩინოსანი ჟოდონი გახლდათ. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდისათვის, როცა საფრანგეთი გერმანელი ფაშისტებისაგან უკვე გათავისუფლებული იყო, მსოფლიოში აღარ არსებობდა ძალა, ამ განძს საფრანგეთს რომ წაართმევდა, და ქვეყნიდან გაიტანდა. საბედნიეროდ, მსოფლიოში აღმოჩნდა კაცი, რომელსაც ისეთი ძალა აღმოაჩნდა, რომელიც არა მარტო განძის გასატანად, არამედ საფრანგეთის მთავრობის მეთაურის დასანიშნავად და მთელ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავის მოსურნე ხელისუფლების მოსაყვანადაც ეყო და, ეს კაცი იყო სტალინი. მოგწონთ თუ არ მოგწონთ ეს ასეა და, რომ არა სტალინი, ქვეყანა რომ დაქცეულიყო და ქვა-ქვაზე არ დარჩენილიყო, საქართველოსათვის ამის დამბრუნებელი თვით მამაზეციერიც არ იყო. ამიტომ, ცოტა საწყენია, როცა ასე ხოტბას ვასხამთ ერთს, და საერთოდ არ ვახსენებთ მეორეს, რომელმაც პირადი ძალისხმევით ეს განძი თავის სამშობლოს დაუბრუნა. ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ასეთი ქმედება ისტორიის ფალსიფიცირებაა, და მეორეც, დიდი უსამართლობა და უმადურობაა. უმადურობა კიდევ, ყველაზე დიდი ნაკლიაო, ამბობენ ინგლისელები. ვარაუდების დონეზე, ქვეყნდებოდა მემუარული სახის ინფორმაციები, რომ თითქოს 1944 წლის დეკემბერში, როცა დე გოლი მოსკოვში იყო ჩამოსული და სტალინს შეხვდა, ვითომ სტალინმა დააყენა ამ განძის საქართველოში დაბრუნების საკითხი და, სთხოვა დე გოლს მისი საქართველოსთვის გადმოცემა, რაც არასწორია და სიმართლეს არ შეესაბამება, იმიტომ რომ, 1944 წლის 10 დეკემბრისათვის, დე გოლს განძის დაბრუნებაზე განკარგულებაც გაცემული ქონდა და 30 ნოემბერს იმავე სასამართლოს ამ განძის საქართველოსათვის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებაც მიღებული.

უფრო მეტიც, იმავე წლის 9 დეკემბერს, დე გოლის ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს, პარიზის საბჭოთა საელჩოში, ფრანგულ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი კომისიის მიერ მოხდა ამ განძის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რომლის საფუძველზე იგი საბჭოთა მხარეს გადაეცა. დარწმუნებული ვარ, ამ განძთან დაკავშირებით, კრემლში სტალინისა და დე გოლის შეხვედრის დროს აუცილებლად იქნებოდა საუბარი. ვინაიდან, სტალინი როგორც თავაზიანი და ყურადღებიანი მასპინძელი, მადლიერების გრძნობას აუცილებლად გამოხატავდა და დე გოლს მადლობასაც ეტყოდა, საკითხის ასე მოკლე დროში, ასე ოპერატიულად მოგვარებისათვის. ახლა როცა საიდუმლო არქივები თანდათან იხსნება და მისი მასალები ხელმისაწვდომი ხდება, ყველაფერს ნათელი ეფინება. სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა, საკითხი უფრო სერიოზულად და პრინციპულად, ბევრად უფრო ადრე დამდგარა, ვიდრე დე გოლი მოსკოვში ჩამოვიდოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დე გოლსა და მის განმათავისუფლებელ არმიას, დიდი წვლილი მიუძღვის, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

აქედან გამომდინარე, ფრანგ მოსახლეობაში იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. ალჟირში 1943 წლის 3 ივლისს დე გოლისა და ჟიროს ერთობლივი ხელმძღვანელობით შექმნილი "ეროვნული განთავისუფლების ფრანგული კომიტეტი", მოკავშირეთა საფრანგეთში შეჭრამდე 3 დღით ადრე, 1944 წლის 3 ივნისს, გარდაიქმნა საფრანგეთიის რესპუბლიკის დროებითი მთავრობად, რომელსაც სათავეში დე გოლი ჩაუდგა. 1944 წლის აგვისტოში, როცა მოკავშირეებმა საფრანგეთი გაანთავისუფლეს გერმანელი ოკუპანტებისაგან, დე გოლი თავისი დროებითი მთავრობით მაშინვე ჩავიდა საფრანგეთში და შეუდგა მუშაობას. სტალინმა დაუყონებლივ ცნო საფრანგეთის დროებითი მთავრობა და ოქტომბერში პარიზში საელჩოც გახსნა. 25 ოქტომბერს კი ელჩად დე გოლის კარგად ნაცნობი ბოგომოლოვი დაინიშნა, ხოლო გენერალურ კონსულად (უფრო სწორად – რეზიდენტად) კგბ-ს მომქმედი კადრი გუზოვსკი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრანგ ხალხში დე გოლი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, იგი თავისი ქვეყნის პატრიოტი და საფრანგეთის ფაშისტებისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი სახალხო გმირი იყო. ზუსტად ამ მიზეზით არ მოსწონდა იგი რუზველტს, და ამიტომ მას ამრეზით უყურებდა. ამიტომ იყო, რომ რუზველტს, და მით უმეტეს ტრუმენს, ჰიტლერის შემდეგ, მსოფლიოს ამ ყველაზე დიდ პირსისხლიან ჯალათს, არაფრით უნდოდათ დე გოლის ხელისუფლებაში მოსვლა. ჯერ ერთი, რუზველტი თვლიდა, რომ საფრანგეთი ამერიკის ჯარებმა გაათავისუფლეს და ის ამერიკის გავლენის სფეროში უნდა მოქცეულიყო. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეც, არა ფრანგი ხალხის, არამედ მისი პოლიტიკური კურსის გამტარებელი და მორჩილი მარიონეტი უნდა ყოფილიყო.

ასეა ახლაც, ამ მხრივ ამერიკის პოლიტიკა დღემდე არ შეცვლილა. თავისი გავლენის სფეროში ამერიკას ყოველთვის მათდამი ლოიალურად განწყობილი და მათი უპირობო შემსრულებელი მარიონეტული ხელისუფალი ჭირდებათ, და მოჰყავთ კიდევაც ხელისუფლების სათავეში. ამის დასადასტურებად საქართველოს მაგალითიც კმარა. გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე უწოდეს და მალევე ჩამოაგდეს.

ახლა, რომ მის ჩამოგდებას თავიდან ბოლომდე ყველაფერს შევარდნაძეს აბრალებენ, მთლად ასეც არ არის საქმე. შევარდნაძე ყველანაირად ცდილობდა და მეტნაკლებად ახერხებდა კიდეც, ამერიკა-რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას. ამ პოლიტიკით იგი, ამ ორ ვეშაპს შორის რაღაც მომენტამდე წონასწორობას იცავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც მათი მსხვერპლი გახდა და მათ ინტერესებს შეეწირა.

**ომარ გოცაძე,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

აკადემიაში ხრუშჩოვმა შეიგრძნო პარტიული ხელისუფლების მთელი ძალა. არ ჰქონდა რა სწავლის შესაძლებლობა და სურვილი (მართალია, საკუთარ მემუარებში აღნიშნავს, რომ სწავლა ძალზე სწყუროდა), ხრუშჩოვმა აკადემია თავისებურ სადისკუსიო კლუბად გადააქცია. პარტბიუროსა და პარტორგანიზაციათა სხდომებზე აღარ განიხილავდნენ სასწავლო პროცესების მიმდინარეობათა საკითხებს, მაგრამ ყოველივე საფუძვლის გარეშე აკადემიიდან ქუჩაში ისროდნენ და პარტიის რიგებიდან რიცხავდნენ "მემარჯვენეებს". მათზე ზეწოლით იღებდნენ სასურველ ჩვენებებს. ხრუშჩოვი სიამოვნებით იჯერებდა გავრცელებულ ჭორებს და მის წინაშე თავის მართლებას აზრი აღარ ჰქონდა. აკადემიაში მან მორალური ტერორის გარემო შექმნა. იმორჩილებდა სუსტებს, შანტაჟისა და ცილისწამების გზით თრგუნავდა ძლიერებს.

(ცნობა. 1930-იანი წლების დასაწყისში ხრუშჩოვი სამრეწველო აკადემიის პარტორგანიზაციის მდივანი იყო. აქვე სწავლობდნენ სტუდენტები ნადეჟდა ალილუევა (სტალინის ცოლი), დორა ხაზანი – ანდრეევის ცოლი, მარია კაგანოვიჩი, პალინა ჟემჩუჟინა – მოლოტოვის ცოლი). ალილუევამ მოუთხრო სტალინს ახალგაზრდა, ენერგიული მდივნის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო ხრუშჩოვის დაწინაურებას პარტიული ხაზით).

აი, რას სწერდა ხრუშჩოვი თავის "მოგონებებში":

"ნადეჟდა ალილუევას მეშვეობით აკვირდებოდნენ ჩემს მოქმედებებს. იგი ყოველდღე მხედავდა და პატივისცემით მეპყრობოდა, სათანადოდ აფასებდა ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამის თაობაზე მოუთხრო სტალინს, რამაც განაპირობა ბელადის ჩემდამი ნდობა...

სისულელეა ისაუბრო სიყვარულზე ამ ადამიანის მხრიდან – ეს ძალიან სენტიმენტალური იქნება, რაც მას არ ახასიათებდა, მაგრამ იგი უდავოდ დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული ჩემს მიმართ. ეს პატივისცემა გამოიხატებოდა მის მუდმივ მხარდაჭერაში. მე ნადეჟდა სერგეის ასული სამრეწველო აკადემიაში გავიცანი. შემდეგ, როცა მე უკვე კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში ვმუშაობდი, სტალინი ხშირად მიწვევდა ხოლმე საოჯახო სადილზე..."

აი, ასე იწყებოდა ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური ეკვილიბრი. ჩვენ იმიტომ დავუთმეთ ესოდენ დიდი ადგილი ამ ტიპს, რომ იგი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ლავრენტი ბერიას გვერდით და მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება, რომ დაწვრილებით გაეცნოს ამ "კომუნიზმის მშენებლის" ბიოგრაფიულ ნიუანსებს.

ამასთან, სასარგებლო იქნება ერთმანეთს შევუდაროთ გმირისა და მისი ანტიპოდის კარიერული ნაბიჯები. იმდროინდელ მოვლენათა პროექციაც არ გახლავთ მთლად უსარგებლო საქმე.

## მოსკოვი. ლუბიანკა. ბერია

**"პოლიტიკური კრიზისების ჟამს პატიოსანი ადამიანის წინაშე დგას არა ის ამოცანა, რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა, არამედ ის, რომ იპოვოს საკუთარი ადგილი".**

**ლუი გაბრიელ ამბრუაზ დე ბონალდი**
**XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთის პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი**

მკითხველთა უმეტესობა, რომელიც ასე თუ ისე, ზოგადად მაინც გაცნობილია ბერიას ისტორიას, ვარაუდობენ, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (**НКВД**). ეს ორგანიზაცია კი მრავალთათვის გაიგივებულია მცნებასთან **"რეპრესია... ტერორი"**. ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. მაგრამ, ბერიას შემთხვევაში, მოცემულ ტერმინებს თავში აუცილებლად უნდა წავუმძღვაროთ ერთი სიტყვა – "ანტ..." და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

მაგრამ **ნკვდ**-ს გარდა "ბერიას ისტორიაში"იყო კიდევ რამდენიმე ეტაპი, რომელსაც სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ეპოქალური – ომი, ბომბი, 100 დღე სტალინის შემდეგ. თუ ბერიას ატომური იარაღის შექმნის სპეცკომიტეტში მოღვაწეობის თაობაზე კიდევ ჰყოფნით ვიღაცეებს გამბედაობა რომ ისაუბრონ მაღალი ტრიბუნიდან, ოღონდ დელიკატურად აუარონ გვერდი მის შემქმნელს, თემა "ბერია და ომი", უფრო ზუსტად კი – "ბერია და გამარჯვება", არ ფიგურირებს არამც თუ აუცილებლად შესასწავლ თემათა სიაში, არამედ ვერსად გაეცნობი ზედაპირულადაც კი. "სტალინის შემდგომი 100 დღე" კი საერთოდ ტაბუდადებული თემა გახლავთ.

აქ საინტერესოა ის, რომ ისტორიული სამართლიანობის მებრძოლები რომ ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან "სტალინურ წმენდაზე", რატომღაც ავიწყდებათ პასუხის გაცემა ერთ უბრალო შეკითხვაზე – რამ განაპირობა საბჭოთა კავშირში 1937-1938 წლებში "ტერორის" წარმოქმნა? საუბრები სტალინის მიერ სისხლისადმი წყურვილის თაობაზე, მოდით, ამ მკვლევარებს დავუთმოთ.

დღიურის პირველ ჩანაწერში, რომელიც დათარიღებულია 1938 წლის 29 ივლისით (საუბარია ლ.პ. ბერიას დღიურზე, რომელიც გამოაქვეყნა პუბლიცისტმა სერგეი კრემლიოვმა. ჩვენ ხშირად მოვახდენთ ამ დოკუმენტის ციტირებას ავტორის სტილის, გრამატიკისა და სინტაქსის სრული დაცვით), ბერია წერს: "*მივიღე პირადი ბარათი ამხანაგ სტალინისაგან.* სერიოზული წერილია და ასევე სერიოზული დაფიქრება მმართებს. მთავაზობს, რომ დავუბრუნდე ჩეკისტურ საქმიანობას მოსკოვში, ეჟოვის პირველ მოადგილედ".

რა დგას ფრაზის მიღმა "სერიოზული დაფიქრება"? გასაგებია, რომ წერილი, ფაქტიურად, სტალინის ბრძანება გახლავთ. ეს არ გახლავთ არც 1931 და არც 1934 წელი. 1938 წელს ბრძანების განხილვა არ ხდება, თვით "სერიოზულად დაფიქრების" ეგიდითაც კი. მაგრამ იყო გამონაკლისებიც, რაზედაც აუცილებლად გვექნება საუბარი. მაგრამ ბერია "გამონაკლისთა" სიაში არ შედიოდა არც თავად შეეძლო, საკუთარი შინაგანი შემეცნებითი არქიტექტონიკიდან გამომდინარე.

"*არ მინდა კავკასიიდან წასვლა. აქ უფრო ლაღი ვარ, მშვიდად ვსუნთქავ და საკუთარი თავის უფროსი ვარ. საქმეებიც უხვად მაქვს. მთელი სიცოცხლე კავკასიაში გავატარე, ვმუშაობდი კავკასიაში, არსად წავსულვარ აქედან. ამიტომაც არ მინდა.*

*როცა მხარეს ბრიყვები მართავდნენ, სიდამპლე სუფევდა. რა ლავრენტი და რა მამია* (ლავრენტი ქართველიშვილი, ივანე (მამია) ორახელაშვილი – ბერიას წინამორბედები საქართველოს და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტებზე. 1937 წელს დააპატიმრეს და 1938 წელს დახვრიტეს). *როცა კობამ მე დამიჯერა და ხელისუფლება ჩამაბარა, მე საქართველო იმდენად წინ წავწიე, რომ სხვები ამაზე ვერც კი იოცნებებენ. ექვს წელიწადში საქართველოს ვერავინ ცნობდა, ეს ყველაფერი თვალშისაცემია! და ახლა, როცა ყველაფერი დალაგებულია, აქედან უნდა ავიბარგო მოსკოვში და ჯაშუშებს ვსდიო დასაჭერად. არ მეყოფა, რაც მე ისინი ჩეკაში მუშაობის პერიოდში დავიჭირე?*

*ყველაზე მძიმე ჟამი გადავიტანე, ქვეყანა ნეხვისაგან გავწმინდე, მენშევიკური იატაკქვეშეთი გავსრისე, მრეწველობა განვავითარე, მეცნიერება ავაღორძინე, თბილისის რეკონსტრუქცია მოვახდინე. თვალნათელია ის, რაც გავაკეთე, თვალნათელია ისიც, რაც გასაკეთებელია*".

რატომ დასჭირდა სტალინს ის ბერია 1938 წლის მიწურულს, რომელმაც ოაზისი შექმნა ცალკე აღებულ ტერიტორიაზე? ეჟოვის შეცდომების გამოსასწორებლად? ღირდა კი ამისათვის მოკავშირე რესპუბლიკის ესოდენ წარმატებული ხელმძღვანელის საქმისაგან მოწყვეტა? შინსახკომის ხელმძღვანელის სავარძელში ჩასახტომად ბევრი ვინმე იყო მზად. იგივე ხრუშჩოვი, რომელიც ერთგულ გოშიასავით ულოკავდა სტალინს ჩექმებს, სიხარულისაგან მეცხრე ცაზე აღმოჩნდებოდა თუ ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ. ესე იგი, სტალინს სჭირდებოდა სხვა ადამიანი. ეჟოვის შეცდომების გამოსწორება კი სტალინის მიერ ჩაფიქრებული დიდი საქმის დასაწყისი გახლდათ. რომელი საქმის? **ახლა კი მთავარი რამ უნდა ვთქვათ: კონსტიტუცია!**

დღეს ძალიან ცოტა ვინმე თუ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ კომპარტიის XVII ყრილობის შემდეგ (1934 წლის თებერვალი) **საორგანიზაციო პლენუმზე სტალინი აღარ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად და სიკვდილამდე რჩებოდა პარტიულ აპარატში ერთ-ერთ მდივნად.** "ხაზეინი" (ეს არ გახლავთ საწყენი ეპითეტი, რადგან ზუსტად ასახავდა მდგომარეობას) არჩევდა, რომ სახელმწიფო ემართა აღმასრულებელი სტრუქტურის მეშვეობით. სტალინს ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა მთავრობის ხელმძღვანელის პოსტი, ხოლო საკუთარი ავტორიტეტის წყალობით იგი მაინც რჩებოდა პოლიტბიუროს არაფორმალურ ლიდერად.

1935 წლის მიწურულს სტალინმა ინტერვიუ მისცა ამერიკელ ჟურნალისტ ჰოვარდს. **ბელადმა განაცხადა, რომ მალე გამოვა კონსტიტუცია და იქნება არჩევნების ახალი სისტემა, რომელიც გაამძაფრებს ბრძოლას კანდიდატებს შორის, რადგან მათი წამოყენების უფლება ექნება არა მხოლოდ პარტიას, არამედ ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ადამიანთა ჯგუფსაც კი.**

1936 წლის კონსტიტუცია გახლდათ პირველი და სერიოზული ნაბიჯი (მაპატიეთ პათეტიურობა) ხალხის ძალაუფლების განმტკიცებისაკენ. 1936 წლამდე საბჭოთა კავშირში არჩევნები იყო ღია, თანაბარი საარჩევნო უფლება კი ძალიან ბევრს არ ჰქონდა.

ღია არჩევნები ნიშნავდა, რომ ადგილებზე პარტიულ ხელმძღვანელებს (ამის თაობაზე საუბრობდა სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე) ყოველი გართულების გარეშე შეეძლოთ წამოეწიათ მათი ერთგული ადამიანების კანდიდატურები. ფაქტიურად – დაენიშნათ ისინი.

*ძალიან ბევრი პარტიული ორგანოების მდივნები ნახევრადგანათლებულები იყვნენ. მისასალმებელი იყო, თუ მათ დამთავრებული ჰქონდათ დაწყებითი სასულიერო განათლება მაინც. იყვნენ რუსებიც, ებრაელებიც, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც. როგორ შეეძლოთ ასეთ ადამიანებს ეკონტროლებინათ ინდუსტრიული გიგანტების მშენებლობის პროცესები? ისინი ცდილობდნენ ეხელმძღვანელათ ობიექტებისათვის ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ საქმეზე. ამიტომ მატულობდა გლეხების, მუშების, ინჟინრების უკმაყოფილება, რომელნიც საკუთარ თავზე გრძნობდნენ ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობას. ხდებოდა ინჟინერთა კორპუსის ფორმირება, მრავალი რამ იცვლებოდა, ძნელი იყო შუბის ხალთაში დამალვა. და ადგილებზე პარტიულ ბელადებს ეშინოდათ, რომ თუ ალტერნატიული არჩევნები ჩატარდებოდა, მათ გვერდით გაჩნდებიანი სხვა კანდიდატებიც. ამ შემთხვევაში კი გამორიცხული არ იყო, რომ მათი კანდიდატურები ჩავარდნილიყო. და თუ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვერ გახდებოდნენ, მოსკოვში შეიძლებოდა მათთვის განეცხადებინათ: "ამხანაგო! შენ ხალხმა მხარი არ დაგიჭირა. მიდი და ეძებე ისეთი სამუშაო, რომელსაც თავს გაართმევ, ან სასწავლებლად წადი". სტალინს იმ პერიოდში არაერთგზის უთქვამს, რომ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე იგი ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, მაშინ, როცა მან პრაქტიკულად არაფერი არ იცის. ეს გახლდათ პირდაპირი მინიშნება. პარტოკრატია რაღაცის მოლოდინში გაისუსა (ისტორიკოსი ი. ჟუკოვი).*

**სტალინური დემოკრატია (წინწკლების გარეშე!)** წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს პარტიული ფუნქციონერებისათვის, რომლებიც თანამდებობების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ახალ კონსტიტუციაში პარტია ნახსენები იყო მხოლოდ 126-ე მუხლში, მე-10 თავში, სადაც საუბარი იყო მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებზე. კერძოდ, მათ უფლებებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის კუთხით, თუნდა ისეთი ორგანიზაციისა, როგორიც გახლდათ კომუნისტური პარტია.

სტალინი უკვე მაშინ ცდილობდა, რომ შეეკვეცა პარტიის გავლენა ქვეყნის მართვის პროცესებზე, რათა არ ჩამოყალიბებულიყო **პარაზიტული ელიტა,** რომ პარტია ბაღლინჯოსავით არ აცოცებოდა კისერზე მშრომელ ხალხს.

**საბოლოოდ ასეც მოხდა! გაიხსენეთ ბრეჟნევის კონსტიტუცია! მე-6 მუხლი: "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების და მისი ბირთვის წამმართველ ძალას."**

**1977 წლისათვის ეს გახლდათ საბოლოო რევანში, რომელიც შედგა 40 წლის შემდეგ. პასუხი გაეცა სტალინის შეტევას პარტიულ ბიუროკრატიაზე. გამოწვევა მიღებული იქნა!**

1937 წლის ივნისი.. ქვეყანა საბჭოების ყრილობის მოლოდინშია. წინა დღეს გაიმართა კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელმაც განიხილა არჩევნების კანონი. პლენუმამდე რამდენიმე კვირით ადრე კომპარტიის საოლქო, სამხარეო და მოკავშირე ნაციონალური რესპუბლიკების პირველი მდივნები სისტემატურად აგზავნიდნენ დეპეშებს მოსკოვში ინჟინრებისა და წარმოების ხელმძღვანელთა დაპატიმრების მოთხოვნით. ესე იგი, მოითხოვდნენ იმ დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანების იზოლირებას, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ელექტორალურ მასაზე. სტალინი კატეგორიულად პასუხობდა მათ: უფლებას არ გაძლევთ! პლენუმის შემდეგ კი რატომღაც ეთანხმებოდა ამ მოთხოვნებს. ცეკას წევრებთან შეხვედრის შემდეგ, რომლებიც სახალხოდ უჭერდნენ მხარს ახალ საარჩევნო კანონს ალტერნატიულ კანდიდატებთან დაკავშირებით, მოსკოვში იგზავნებოდა დაშიფრული დეპეშები. კომპარტიის საოლქო, სამხარეო და მოკავშირე ნაციონალური რესპუბლიკების პირველი მდივნები მოითხოვდნენ ე.წ. ლიმიტებს. სურდათ დაედგინათ მათი რაოდენობა, ვისაც დააპატიმრებდნენ, დახვრეტდნენ, ან გადაასახლებდნენ. ყველაზე მეტად ირჯებოდა "სტალინური რეჟიმის მსხვერპლი" ეიხე, იმ დროს კომპარტიის დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივანი. იგი მოითხოვდა 10.800 ადამიანის დახვრეტას. მეორე ადგილზე მოდიოდა ხრუშჩოვი – იმ დროს მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი, რომელიც მოითხოვდა "სულ რაღაც" 8.500 კაცის დახვრეტას. მესამე ადგილზე იყო აზოვ-შავი ზღვის სამხარეო კომიტეტის მდივანი – 6.644 დასახვრეტი კაცით და 7 ათასი კაცის გადასახლებით. სხვა მდივნები კი ნაკლებად დახარბებული იყვნენ სისხლს – ათასი, ორი ათასი განწირული...

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**
**(გაგრძელება იქნება)**

# წერილები სირიიდან

## ჭეშმარიტო თანამემამულენო!

გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 78-ე დაბადების დღეს ადამიანისას, რომელმაც თავისი განსწავლულობით, ღვთიური რწმენით, ფაქტიურად შეცვალა არამარტო ჩვენი ქვეყნის და ყოფილ სსრკ-ში შემავალი ერების ბედი, არამედ, (თავისუფლად შეიძლება ითქვას), მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაშიც!

დღეს, 25 წლიანი გადასახედიდან, აშკარად ჩანს რომ ზვიად გამსახურდია ერთადერთი პოლიტიკოსი და პრეზიდენტია, ვინც 90-იან წლებში ღიად დაუპირისპირდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებისთვის მებრძოლ აშშ-ს და დასავლეთს, სამშობლოს დამოუკიდებლობის, პიროვნების რწმენისა და ერების თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ზვიად გამსახურდია ფაქტიურად წინ აღუდგა მსოფლიო ჰეგემონიისათვის მებრძოლი აშშ-ს იმდროინდელი პრეზიდენტის ჯორჯ (მამა) ბუშის დირექტივებს, რომელიც სთავაზობდა დღეს, უკვე, ყბადაღებულ დემოკრატიას!

ჯორჯ ბუშის იმდროინდელი განცხადება „ზვიად გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავსო“, სხვა არაფერი იყო, თუ არა მოწოდება მასონ აშშ-ის და მის ვასალ ევროპას ბრძოლა გამოეცხადებინათ საქართველოს მოსახლეობის 89 %-ის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ! მას შემდეგ, გოლგოთის გზას ადგას სრულიად საქართველო.

ჩვენ, დღეისათვის, სირიაში საერთაშორისო სამართლის ნორმების აღდგენისთვის მებრძოლებმა შევფიცეთ ჩვენს საყვარელ პრეზიდენტს, რომ ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოს გადასარჩენად და ყოველთვის ვიქნებით მისი გზის ღირსეული გამგრძელებლები. ამ გზაზე მუდმივად გვახსოვს ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვები:

„სახარების მიხედვით, სულიწმიდის მისია არის კაცობრიობის ცოდვათა ანუ, „ყველა ენათა“ ცოდვების მხილება. იგივე ეკისრება ქართველ ერს, რადგან საქართველო არის წილხვდომილი ღვთისმშობლისა.

წინ, დიდი ბრძოლები გველის, გვჯერა რომ ურჩხულის მიერ გადამწვარ-გადაბუგულ კოლხურ კოშკში ისევ ჩამორეკენ გამარჯვების მაუწყებელ საზეიმო ზარები.

გფარავდეთ ღმერთი!

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას „კავკასიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის„ 3035 მებრძოლის სახელით:

**ლევან ზაალიშვილი, ლაშა გამსახურდია, გიორგი ციხისთავი, მართა სავანელი, სალომე მწიფური, ზაზა ჟორდანია, გიორგი გუგუნავა, ნაილი ხომერიკი, დავით ჯანდიერი, სანდრო მარიამიძე, მიშა მარიამიძე, დიტო შერმანდინი, ლელა ჭინჭარაული, გიორგი გალდავა, მანანა დავითაია, ლადო ბოკუჩავა**

## საქართველოს გმირის, ქართველი რაინდის გოჩა ესებუას ხსოვნას

გოჩა ესებუას მოკლეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა 1998 წლის 31 მარტს სოფ. ონორიაში. დიდება თქვენს ხსოვნას, ჩვენო ძმაო და მეგობარო! გოჩა ესებუა ხომ ის პიროვნება იყო, ვინც, კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს, რომ კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი ჰყავს და მის სათაყვანებელ სამშობლოს იარაღის გზით დამკვიდრებული ხუნტა მართავს. ჭეშმარიტმა ქართველმა ერმა სამართლიანად აღიქვა გოჩა ესებუა, პრეზიდენტის ერთგული ჯარისკაცი, მისი იდეებისთვის თავგანწირული რაინდად.

გოჩა – სისხლით ქართველი, სულით ქართველი!

არ დავივიწყებთ, შენს ხანმოკლე, მაგრამ ლამაზ გმირულ სიცოცხლეს! სამშობლოსთვის შენს საარაკო თავდადებას!

საქართველოს სიყვარულით აღსავსე ახალგაზრდას მოღალატის დაუნდობელმა ტყვიამ მოგისწრაფა მშვენიერი სიცოცხლე...

მოკლეს დაუმონებელი, გულზვიადი, რაინდი, რომელმაც ბრძოლაში გამოიწვია სამყაროს დემონები და ათასების ნაცვლად გაეკრა ჯვარს.

გოჩა ესებუა მოკლეს!

მაგრამ, დაიბადა მითი, დაიბადა გმირი, რომელმაც საქმით იწამა ზვიად გამსახურდიას იდეალების ერთგულება და სხვისი კი არა, საკუთარი სისხლით ვარდები მოწყვიტა ჯვრიდან და თვალშეუდგამი სიმაღლიდან ესროლა მიწაზე მოფუთფუთე ცოდვილთ.

ვაი, ერს, ვინც გოჩა ესებუა დაკარგა და იცის მისი ფასი, მაგრამ ორგზის ვაი მათ,ვინც პირადი ამბიციებით, თუ პოლიტიკური სტერეოტიპებით დაბრმავებულმა ვერ დაინახა, ვინ და რისთვის გამოიყვანა ეს ნათელი ახალგაზრდა ჯიხაშკარის მისტიური ჩრდილიდან.

დღეს, ქართველ ერს ენატრება გმირი.

ჩვენო გოჩა, ქართველს ერს 24 წელია საღათას ძილით ძინავს. ჩვენი სამშობლო მასონურ ამერიკა-ევროპის დირექტივებით იმართება,თანაც, უფრო ვერაგულად და მიზანმიმართულ, ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენელთა დაავადებულ ცნობიერებაში სამშობლოს სიყვარული საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ ჩაანაცვლა. ე.წ. ხელისუფლების უმოქმედობამ იძულებული გახადა საკუთარი ხალხი უცხოეთში გადახვეწილიყო, სადაც მათხოვრობს, ქურდობს, მონურად ემსახურება დამქირავებელს, სამწუხაროა, რომ საუკუნეების მანძილზე მტერთან მებრძოლი ქართველის სულში ჩაკლეს სიმართლის გრძნობა და გამოხატვის თავისუფლება.

სამშობლოს და პრეზიდენტის სიყვარულისთვის წამებულო ჩვენო გოჩა, თავისი კუთხიდან გააძევეს ასლან აბაშიძე და ჩვენი სამშობლო საჯიჯგნად მისცეს თურქეთს, მასონურ და ვერაგ ევროპას!

გოჩა, სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძოდი, შენ, იმედის ნაპერწკალი გაგვიღვივე, ჩვენ ვეცდებით ამ ნაპერწკლის არჩაქრობას.

ჩვენო გოჩა, ვფიცავთ შენს სულს!

სამშობლოს ყველა გამყიდველს, მკვლელებს, ყაჩაღებს, მწამებლებს, კრიმინალებს, პედერასტებს, თაღლითებს, მანიაკებს – ყველას დავსჯით უმკაცრესად!

ამ არაკაცთა შთამომავლებს მომავალ საქართველოში ვერ ვაცხოვრებთ, მათ, უნდა ზიდონ მშობლების ცოდვები.

ჩვენო გოჩა, ხსოვნა იყოს თქვენი ძმის გია ესებუას და საქართველოზე შეწირული მეომარი ვაჟკაცების და ქალიშვილების!

საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას „კავკასიის ეროვნულ-განამათავისუფლებელი მოძრაობის“ 3035 მებრძოლის სახელით, სამშობლოდან განდევნილნი:

**სალომე მწითური, ლაშა გამსახურდია, დავით ჯანდიერი, სანდრო მარიამიძე, მართა სავანელი, ზაზა ჟორდანია, ლევან ზაალიშვილი, ევა კაიშაური, გერონტი გუგუნავა**

**სირია, ალეპო**

## სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია

ისტორიულად მრავალგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის გადარჩენა და აღორძინებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ეკლესიის განწმენდაა საჭირო. მაგრამ ჯანსაღი რელიგიური წრეების მხრიდან სიფრთხილე იგრძნობა რჯულის მოღალატეედ იერარქთა მხილების საქმეში, რაც გამოწვეულია სავსებით გასაგები და გასათვალისწინებელი მიზეზით, საქმე ის გახლავთ, რომ ფარისევლობაში დაბრძენებული მოწინააღმდეგე (თვით საპატრიარქოს მესვეურთა ხელშეწყობით) ცდილობს ცალკეული ურჯულო სასულიერო პირისა და ეკლესიის გაიგივებას რელიგიაში გაუთვითცნობიერებული საზოგადოების თვალში, რათა მათ ამით ერთის სიძულვილით მეორეც შეაჯავრონ. კაცობრივი ცოდვა ღვთაებრივ სიწმინდეს გადააბრალონ.

გვინდა შეგახსენოთ ქრისტიანული ღმერთის მეტყველებისა და ჰაგიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ტერმინი **“მართლმხილება”**, რაც აგრეთვე ქრისტიანული პრაქსისის საფუძველი, ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. მაცხოვარი ჩვენი მარლთმხილების გამო აცვეს ჯვარს, მართმხილების ძალამ, ღვთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით და აღამაღლა. მწიგნობართა, ფარისეველთა და ცალკე მღვდელმთავართა მხილება იყო მისი ქადაგების ძირითადი მიზანი. ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან. ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობა. ეკლესია იდეაში არსებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამ ქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარი რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავის მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავისი გადაცმული მსტოვრები შეგზავნოს ტაძარში, ეკლესიაში ვერ შეაგზავნის. ეკლესიის ისტორიას შეიძლება ეწოდოს **“ჭეშმარიტების ისტორია”**. რაც უფრო მიემსგავსება ფიზიკური ტაძარი ეკლესიას, რაც უფრო მიუახლოვდება ამ იდეალს, მით უფრო სრულყოფილია იგი. ღვთის ტაძარში მოკალათებულ ანტიქრისტეს მსახურთა მხილება კი ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა. ამის გამო საუბრობენ ანტიქრისტეს მსახურნი მხოლოდ ტაძარზე (templum), ეკლესიაზე კი არას ამბობენ, რამეთუ მათთვის მთავარია ნივთიერი და არა სულიერი. სულიერ ეკლესიას კი ებრძვიან აშკარად და ფარულად ამიტომ არის მათი ღმერთი თხის რქებიანი და ჩლიქებიანი ბაფომეტი ანდრომენული ურჩხული, რომელსაც თავზე ჩირაღდანი ადგას და რომელსაც ისინი უწოდებენ “templum omnium hominum pacis abbat” (ყოველთა კაცთა მშვიდობის ტაძრის მამა) **“თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ”** – ეუბნებოდა იესო ქრისტე ასეთ ადამიანებს. ჩვენთვის კი მამაა ღმერთი, ეკლესიის თავი და არა ცრუ ტაძრის კერპი. ამისთვისაა საჭირო ქრისტიანული განმანათლებლობა, რომელიც განუმარტავს ყოველივე ამას გაუთვითცნობიერებულ ხალხს. მიწიერი ეკლესია, ამქვეყნიური ადამიანებისგან შემდგარი, უნდა ბაძავდეს ზეციურ ეკლესიას, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ თითქმის აღარ არსებობს. მიწიერი ეკლესია დაპყრობილია უღმერთო ძალების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს – საქართველოში აღდგეს ასეთი ეკლესია. ერისა და ეკლესიის ერთგულ შვილებს ვუსურვებთ დიდ სიმტკიცეს რწმენაში, ბრძოლაში შეუპოვრობას, დიდ მოთმინებას. დღეს ჩვენ ყველანი განგებამ უდიდესი გამოცდის წინაშე დაგვაყენა და ეს უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სარწმუნოების გამოცდაა. **“ღვთის უარყოფა სულის დაავადებაა, ქრისტეს უარყოფა-სულის უბედურება, ხოლო სულის უარყოფა – თვითმოტყუება”**. ღმერთი და სულიერი სამყარო ჭეშმარიტი სამშობლოა ადამიანის, მიწიერი სამშობლო კი მისი ხატი.

მოციქულთა საქმეში წერია: **“არა თქვენი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დახსნა თავისითა ხელმწიფებითა”**. დრო და ჟამი ქვეყნის აღსასრულისა უწყის მხოლოდ უფალმა, ხოლო საქართველოს აღდგომა და ივერიის გაბრწყინება გარდაუვალია და ამისკენ მივდივართ ჩვენ.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას **“კავკასიის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის”** 3035 მებრძოლის სახელით:

**გიორგი ჯაყელი, დავით ძიძიგური**

## საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი!

„კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ოსი ეროვნების მებრძოლნი სამშობლოს და პრეზიდენტის სიყვარულისთვის დასჯილნი, ნაწამები, განდევნილი სამშობლოდან, როგორც სამშობლოს მოღალატე ქართველების, ასევე იუდა, უმადური ოსების მიერ, ულოცავენ სრულიად საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს!

სირიის სამთავრობო ჯარის ქართული ბატალიონის მებრძოლნი: **დიანა სააკაშვილი, ეთერ ყარაშვილი, ირაკლი მელაძე, ვენერა ზადიშვილი, ლიანა ავლოხაშვილი, აზა კაჩმაზოვა, მარინა ხაჩიშვილი, ლიზა გუჩმაზოვა, რამაზ თიბიშვილი, ნუგზარ კუდუხაშვილი, ლერი გაგლოევი, ზურა ბედოშვილი, აზა ხაჩიროვა, ჯემალ მარგიევი, გივი ჩოჩიევი, ნოდარ ქეთიშვილი, ქეთი ხუბაევა**

**რაზმის ხელმძღვანელი დიანა სააკაშვილი**

**სირია, ალეპო**

## პოეზიის კუთხე

*სათრეველებად მითქვამს*

### ქურდის ქუდი

ყველამ იცის, ვინ ვინც არი, ვინ რაც არი,
ვის რად დასდევს სისხლიანი წინადღე,
თვალები ვინ ამოუვსო ხალხს ნაცარით,
ნაც-ბაცნებმა გზები რომ დაგვინაღმეს,
ინტრიგანთა რუპორია
და ხსნის გზად ის უპოვნია,
რომ დარაზმა „რუსთავ-2“
საქართველოს წინააღმდეგ.
ისედაც ბრმა სამართალის
უკუღმართად წარმართავი
ბაქი-ბუქობს, იმუქრება
ქვეყნის გადაბუგვითა,
რადგან ცნობა მოვიდა სტრასბურგიდან:
„რუსთავ-ორი“ – საქართველოს წინააღმდეგ!“
სათაური აზრობრივად სწორია
მაგრამ მსჯავრი რადგან ასაწონია,
თემიდა და ყველა მისი თემიდან,
ალბათ, ხვდება, ინტერესთა თემიდან:
გამოხატვის უფლებათა პროკრუსტემ
და ჩაგრულთა თვითმარქვია დამცველმა,
მონაჩმახი რა მიზნით გაავრცელა?

* * *

გახსოვთ, ქურდი ქურდ კაცს როდის ეწოდა?
სხვაზე მყვირალს, როცა ქუდი ეწვოდა!

### მართული ქაოსი

– არიქა და შარიქაო!—
„რუსთავ-2“ უხმობს ქაოსს
და არ მალავს:
ყირამალა,
მაგრამ განა საღადაოდ,
სიცრუით და ძალის-ძალად
სხვის ქონებას როცა დაობს,
ჯიქურ ამბობს: მე მინდაო!

### ვექტორი

სამშობლოს ლაფი რადგან მიასხა
და ეს ახარებს გვარამიასა,
ჯოჯოხეთშია უკვე ვექტორი
პროკურორ-პროკრუსტ-გენდირექტორის!
უმძიმესი მოლოდინი
კვლავ შეგვსანსლავს, კვლავ ჩაგვბურჯგნის
სხვა აღარა გველის რა,
თუ ვერ მიხვდა სვლას სტრასბურგი
ცხვრის ქურქმოსილ მგელისას?

### ნიკასეული ევრიკა

თქმული სხვისი ქონების ყარამანიშვილებისეულ „გაჩუქებაზე“

უტიფრად უშვერი
მიხვდა, ვერ უშველის,
ნაძარცვს ვერ უშველის
თავის გონებითა,
თუ არა როქივით,
საოცრად მოქნილი,
ყასიდად ჩუქების
გამოგონებითა!

**ალექსანდრე შენგელია**

### გამოსათხოვარი

აღარ გვყავს გენო კალანდია... წაგვექცა მუხა...
ის, ვისაც ნიჭი დააბერტყა ბუნებამ უხვად,
ნიჭი მგოსნის და არანაკლებ კაცობის ნიჭი,
ვწუხვარ ძალიან, ცრემლი მდის და სიტყვის თქმა მიჭირს...
ის თვითონ იყო პოეზია, იყო ლეგენდა,
ის იყო კაცი ღირსეული, ცოტათი „მახვშიც“.
ჭეშმარიტ პოეტს დაფასება არ აკლდა ხალხში,
ის მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა.
ცხოვრობდა იგი ჩემს ქალაქში „თეთრ ხიდთან“ ახლოს,
მასთან გაცნობა გუშინდელი დღესავით მახსოვს.
ჩემს სახლშიც იყო ის ნამყოფი, დამდო პატივი,
მე გული მისკენ მიმიწევდა ანდამატივით.
ქორწილში მაყრად წამიყვანა ჯერაც ყმაწვილი...
საკუთარ ლექსებს მიკითხავდა ჯერ კიდევ ყმაწვილს.
პოეზიაში დიდი არის ამ კაცის წვლილი,
პოეზიისთვის ძვირფასია ამ კაცის ღვაწლი.
დიდება შენდა, შემოქმედის ჯიშო და გენო.
ღმერთმა აცხონოს შენი სული, ძვირფასო გენო.

**ბაგრატ ბადიდი**

# იაპონური აიკიდო და ქართული დაიკიდო?!



ქართული ანდაზაა: თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო.

ასეა ჩვენი საქმე. განსაკუთრებით ბოლო დროს ყველაფერი უცხოელების მოგვწონს. ზანგების რწევით სიარული და მათი სიმღერები ყვაჯების ქექვის თანხლებით! შემძახილი „ვაუ" ამერიკულად! ბლანჟეს დაყენება და სექსი ევროპულად. კაცების კონჩიტობა და ქალთა ტრაბახი საყვარლების სიმრავლით...

არის გამონაკლისიც, როცა უცხოელებისგან კარგს, სულიერად და ფიზიკურად სასარგებლოს ვსწავლობთ. მაგალითად: ძიუდო, სამბო, კარატე...

გლდანის მასივში, საცხოვრებელი კორპუსების კედლებზე გაკრული რეკლამა მსურველებს იაპონური „აიკიდოს" შესწავლას პირდება. მივესალმები, სულაც არა ვარ წინააღმდეგი ქართველმა ბავშვებმა „აიკიდო" ისწავლონ, მაგრამ რატომ ვივიწყებთ ქართულ ჭიდაობას?

ჩვენი ლეგენდარული ფალავნების ტრიუმფალური გამარჯვებები რკინების ნებისმიერ სახეობაში განპირობებულია ქართული ჭიდაობის ილეთებით. ამ ილეთებს იაპონელები დიდი ინტერესით სწავლობენ და ცდილობენ იაპონური ორთაბრძოლები ქართული ილეთებით გაამდიდრონ.

ჩვენ კი მას ვივიწყებთ. არსად არავინ ასწავლის ქართულ ჭიდაობას!

ქართველი ერი უძველეს დროში სხვა ფასეულობებთან ერთად ჰქმნიდა სპორტულ და მოძრავ თამაშობებს – ლელო და ისინდი, ცხენბურთი, მარულა, ყაბახი, დოღი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა... რომლებიც თანამედროვე სპორტული თამაშების არქაულ ფორმებს წარმოადგენენ და რომლებიც მომავალი თაობის სამხედრო-პატრიოტული, ფიზიკური, რაინდული ქცევების ფორმირებასა და აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ.

ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარს ჭიდაობა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ილეთები, იხვეწებოდა და მდიდრდებოდა იგი, მაგრამ არ იცვლებოდა ჭიდაობის შინაგანი ბუნება – კაცთმოყვარეობა, მოწინააღმდეგის ღირსების პატივისცემა.

უძველეს დროში ჭიდაობის არსებობაზე მიუთითებს უამრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები.

საყურადღებოა ის, რომ ეს მასალები მოპოვებულია პროტოიბერიელთა განსახლების მთელ არეალზე. მათი განსახლების არეალი კი მოიცავდა პირინეის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს, იტალიას, საბერძნეთს, მცირე აზიას ინდოეთამდე... ერთი მოდგმის და მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ბასკებს, ეტრუსკებს, პელაზგებს, კოლხებს, ხალიბებს, მოსხებს და სხვა ქართველურ ტომებს ჰომოგენური მსოფლმხედველობა ჰქონდათ და ამიტომ მათ მიერ შექმნილი ცივილიზაცია და კულტურა ერთგვაროვნებით ხასიათდება.

ამერიკელი მეცნიერი ჯ. ჩედვიკი თავის წიგნში **„მიკენური სამყარო"** (თბ. 1989წ.) ასაბუთებს იმას, რომ ზემოთ დასახელებულ ტერიტორიებზე ინდოევროპელი ძველი ბერძნების მოსვლამდე სახლობდა სხვა მოდგმისა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის საკამათო არ არის ის, რომ ეს ხალხი იყო კოლხ-იბერები.

შემორჩენილია კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლის კედელზე დახატული ჭიდაობის სცენები.

ანატოლიაში არქეოლოგებმა იპოვეს დიდი სტელა (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 2500 წ. ), რომელზეც გამოსახულია მოჭიდავენი.

მესოპოტამიაში ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე პლასტიკა (2600 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე,) რომელსაც **„შუმერ მოჭიდავეებს"** უწოდებენ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შუმერ მოჭიდავეთა დგომა და ხელის ჩავლების მანერა ძალიან გვაგონებს ქართულ ჭიდაობას. გარდა ამისა, **„შუმერ მოჭიდავეებს"** საკულტო დანიშნულება ჰქონდა, რაზეც მოჭიდავეთა თავებზე დადგმული ბარძიმები მეტყველებენ.

ბატონი კ. კოღუა მიუთითებს, რომ შუმერულად ჩაჭიდება, ჭიდება გადმოიცემა სიტყვა **„გიდ"**-ით. რადგან შუმერულში დამწერლობის ნიშნებით **„ჭ"** არ გადმოიცემა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **„ჭიდ"** და **„გიდ"** ერთი და იგივეა. შუმერული **„გიდ"**, **„კიდ"** – ქართულად **„გდება", „მოკიდება", „ჭიდება"** (კ. კოღუა **„საინტერესო ნაპოვნი"**. ჟურნალი **„დროშა 1962 წ. №4"**)

ბატონი ვ. ელოშვილი თავის პედაგოგიურ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში იმოწმებს რა ავტორებს, აღნიშნავს, რომ შუმერი მორკინალები იყენებდნენ ისეთ ილეთებს, რომლებიც ქართულ ჭიდაობაში გვხვდება და რომ შუმერული და ქართული სიტყვები, რომლებიც ტანის ნაწილებს და ილეთების სახელწოდებებს აღნიშნავენ, თითქმის ერთნაირად ჟღერენ (В. Элошвили „Традиции грузинской народной физической культуры и современность" ТБ., 1972 г. с. 216).

შუამდინარეთში აღმოჩენილ ქვის ფილაზე გამოსახული რკინების მომენტი ძალიან ჰგავს ჭიდაობის სვანურ ვარიანტს **„ლიბურგიელს"** (В. Элошвили... იქვე).

არ არის გამორიცხული, რომ **„შუმერი მოჭიდავეები"**, რომლებმაც ათასწლებს გაუძლო, **„ლიბურგიელის"** სახით დღემდე შემორჩა მაღალმთიანი სვანეთის კონსერვატიულ საზოგადოებას.

შუმერული და ქართველური ენების ნათესაობა, აგრეთვე არქეოლოგთა მიერ მოპოვებული მასალების ანალიზი, ეთნოგრაფთა დაკვირვებანი შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას ეძლევა: **შუმერებმა და კოლხ-იბერებმა კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შექმნეს ჭიდაობის სისტემა, რომელსაც თავდაპირველად საკრალური ფუნქცია ჰქონდა და ღვთაებებისადმი მიძღვნითი რიტუალების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა.**

სვანეთში იმართებოდა წარმართული დღესასწაულები **„მურყვამობა", „ადრეკილაჲ", „საქმისაჲ", „მელაიაჲ-ტელფიაჲ"**, რომლებიც მთავრდებოდა ჭიდაობით, კრივით, ფარიკაობით. დამარცხებულის მხარეს თოვლის კოშკს გადააქცევდნენ და მომავალი მოსავლის ვითარებას არკვევდნენ (ივ. ჯავახიშვილი ქართველების წარმართობათა. თხზ. ტ. I თბ. 1979 წ. გვ. 106).

საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი წარმართული დღესასწაულები იმართებოდა, როგორც წესი ჭიდაობითა და კრივით მთავრდებოდა.

ჭიდაობის თავისებურ სახეობას წარმოადგენს სვანური ჭიდაობა **„ლიბურგიელ"** და **„ლიბურძგვალ"**, რომელიც გუნდური ჭიდაობაა.

ჭიდაობის საინტერესო ვარიანტებია დამოწმებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: **„მოშ და მოშ", „მუქასრითა ხელის ჩავლებით", „ღოჯვრი", „მთიულური"**.

ეთნოგრაფების ცნობით, **„მთიულურს"** ქალებიცა ჭიდაობდნენ (ვ. ელოშვილი გაზეთი **„ლელო"** 1963 წ. 6 ივლისი).

ქართველურ ტომებში გავრცელებული იყო ხართან რკინება. სვანეთში წმინდა ხარს მსხვერპლად შეწირვის წინ ერკინებოდნენ (Бардавелидзе В.В. Древнейшие репигиозные верования и обрядовое графическое исскуство грузинских планет. ТБ., 1957).

სამეგრელოში ხართან ჭიდილს **„კურული"** ჰქვია. კურულის წესებს მკაცრად იცავდნენ. არ შეიძლებოდა ხართან იარაღით ბრძოლა. მორკინალს უფლება ჰქონდა ხარისთვის ხელი რქებში, ყურებში, ბეჭებზე ჩაევლო და მიწაზე ასე დაეგდო.

ხართან რკინების შემდეგ იმართებოდა რიტუალში მონაწილეთა ჭიდაობა.

კურული ანალოგს ნახულობდა კრეტამინოსის კულტურაში ხარის კულტთან დაკავშირებით.

ქალბატონი მაია ჩქანავა სტატიაში **„კორიდა" ქართულია?!"** აღნიშნავს, რომ კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში კედელზე აღმოჩენილ ფრესკაზე დახატულია ხარი, რომელზეც ქალ-ვაჟი მალაყს გადადიან, ზოგიერთი კი ამ ხარის წინ დგას და მათი პოზა ძალიან მოგვაგონებს ესპანურ კორიდას.

ესპანურ **„კორიდას"** ბასკურ ენაზე **„კურიდა"** ჰქვია. თუ ბასკურ **„კურიდას"** და ქართულ **„კურულს"** მაწარმოებელ სუფიქსებს ჩამოვაშორებთ დაგვრჩება სიტყვის ძირი **„კურ"**, რომელიც ქართულ **„კუროდან"** წარმოდგება (მაია ჩქანავა გაზეთი **„ლაშარის გორი"** №1 1996 წ.)

ეს ბუნებრივია. ბასკები პროტოიბერულ მიდგომას ეკუთვნიან და ბასკური და ქართული მონათესავე ენებია.

პროტოიბერიელებისგან ინდოევროპელებმა ბევრი რამ გადაიღეს და მათ შორის ბასკებისგან ხართან ბრძოლა იგივე ტერმინით. თუმცა, ესპანური კორიდა და უძველესი კურული ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ კორიდაში ხარს დაშნით კლავენ, კოლხურ სამყაროში კი ხარს უიარაღოდ ერკინებოდნენ.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქრისტიანული დღესასწაულების დროს ჭიდაობდნენ ეკლესიის ეზოში ან მის შემოგარენში. ეს ტრადიცია თანდათან სუსტდება და იკარგება.

არც თუ შორეულ წარსულში შეჯიბრი ჭიდაობაში საერთო სახალხო დღესასწაულის ხასიათს ატარებდა, არ იყო ორგანიზებული რომელიმე პიროვნების, საზოგადოების ან უწყების მიერ. არ არსებობდნენ პროფესიონალი მოჭიდავეები. ჭიდაობდა ყველა მამაკაცი, ვისაც რაიმე ფიზიკური ნაკლი ან ავადმყოფობა ხელს არ უშლიდა. ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, რომ ჭიდაობდნენ საერთო და რელიგიური დღესასწაულების დღეებში, აგრეთვე ყოველ კვირა დღეს საჭიდაოდ მუსიკის ფონზე. ახალგაზრდა თაობა ამ დროს ეუფლებოდა უძველეს დროში ღმერთებთან ნაზიარებ ქართული ჭიდაობას.

სამწუხაროდ, სხვა ტრადიციებთან ერთად ეს ტრადიციაც დავივიწყეთ.

მომავალი თაობა, ჩვენი ბიჭუნები, ქართული ჭიდაობის ილეთებს ვერსად სწავლობენ!

ყოველ ერს აქვს საკუთარი სპორტული და მოძრავი თამაშები ეროვნული ნიშნით განპირობებული სიუჟეტით. სწორედ ეს სათამაშოები უნდა იქცნენ ეროვნულ სკოლაში ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად. სამწუხაროდ, ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამიდან ხალხური სპორტული და მოძრავი თამაშობები, მათ შორის ქართული ჭიდაობა ამოღებულია და ამით ახალგაზრდა თაობის აღზრდის პროცესს ზიანი მიაყენეს. ბავშვები ეროვნული ნიჰილიზმით იზრდებიან და ადვილად იქცევიან უცხოური კულტურის გავლენის ქვეშ.

ლეგენდარული მოჭიდავის კულა გლდანელის ოდაბადეში კი ქართული ჭიდაობის მაგიერ იაპონური **„აიკიდოს"** ეუფლებიან...

ამას ვერ დავაბრალებთ ვერც რუსებს, ვერც ამერიკელებს, ვერც ევროპელებს... ეს ჩვენი ბედოვლათების ბრალია...

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**ფსიქოლოგი**

# მცირე კომენტარი რუკის თაობაზე...

ინსინუაციებისგან თავი მინდა დავიზღვიო, ამიტომაც – წინასწარვე უნდა განვაცხადო: რომ შემეძლოს მოცემული რუკის საზღვრებში როდი ჩავატევდი ჩვენს სამშობლოს... მაგრამ, მოდით ჩემო ძვირფასო თანამემამულენო და გულრწფელად ვაღიაროთ – ნებისმიერი სახელმწიფო ძირითადად დაპყრობითი პოლიტიკის, უმეტეს შემთხვევაში ძალისმიერი პოლიტიკის გატარების წყალობით, ვთქვათ პირდაპირ – ომებით იქმნება... ასე იყო მითაჟამინდელ ეპოქაში... ასე იყო ძველ, საშუალო და ახლო საუკუნეებში... ასეა ამ დროებაშიც და სამწუხაროდ ასე იქნება ალბათ მომავალშიც... როცა გვქონდა ძალა და შნო – ჩვენც ვიპყრობდით, აბა **„მუმულიას კანფეტების"** დარიგებით არ გაფართოებულა იმ ქვეყნის საზღვრები, რომელზეც ნოსტალგიურად ამოვიოხრებთ ხოლმე – ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველოო... ძალიან ხშირად იმ დიდ სამეფოს თანამეგობრობასაც ვუწოდებთ, მაგრამ სინამდვილეში ბევრმა ჩვენთაგანმა იცის და რაც მთავარია მამაზეციერმა ხომ იცის და იცის, რომ ის **„თანამეგობრობა"** სინამდვილეში ცეცხლით და მახვილით განვრცობილი იმპერია იყო... ასეა ეს და ამაში არც არაფერია გასაოცარი, რადგან ამის უმისოდ სამწუხაროდ დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფო არ იქმნება... ამის გარეშე საკუთარ ეთნიკურ თუ ეროვნულ სასიცოცხლო არეალს ვერ გაიფართოებ... ჰოდა, ამ სივრცეს კიდევ, შენარჩუნებაც უნდა... ამისათვის კიდევ, ძალაცაა საჭირო და ჭკუაც... და, თუ ძალა არ გაქვს – ჭკუით შეეცადო უნდა მის კომპენსირებას... და, თუ ეს ჭკუაც არ გაქვს – მაშინ... მაშინ... სამწუხაროდ და უდიდესი ალბათობით სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კრახი გელოდება... რაოდენ დასანანია, რომ ჩვენ ამჟამად ორივეს დეფიციტს განვიცდით ბევრ სხვა რამესთან ერთად რასაკვირველია... სწორედ, ამის გამო პატარავდება ჩვენი სასიცოცხლო სივრცე შაგრენის ტყავივით... თუმცა, რა ვიცი... მაინც ვიყოთ ოპტიმისტები და ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენს ერში ბოლოსდაბოლოს თვითგადარჩენის რეფლექსი ამუშავდება... უსათუოდ გონებაც გაგვინათდება და გამოსავალსაც აუცილებლად ვიპოვით...

**ზურაბ კვარაცხელია**



# თაღლით, მევახშე ნათელაშვილს უზარმაზარი თანხები აქვს

**"ნათელაშვილმა და მისმა პოეტმა მეუღლემ ბიუჯეტის ფულით დრო გაატარეს ამერიკის შეერთებულ შტატებში",** – ამის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე **„მემარცხენე ალიანსის"** გენერალურმა მდივანმა, სოსო შატბერაშვილმა განაცხადა.

შატბერაშვილი აღნიშნავს, რომ ნათელაშვილმა ბიუჯეტს თანხა დაუმალა და მისი ანგარიშები ყოველთვის იწვევდა კითხვებს.

**„ნათელაშვილი გახლავთ ერთადერთი პიროვნება ოპოზიციურ სპექტრში, რომელმაც გრანდიოზული ქონება ისე დააგროვა, რომ ხელისუფლებაში არც კი ყოფილა, ეს ქონება დააგროვა მხოლოდ და მხოლოდ კორუფციით. მის ანგარიშებს, ამ ეტაპზე, ადევს ინკასო, რადგან 20% ბიუჯეტს დაუმალა. ნათელაშვილის პარტიის ოფისში არ შედის აუდიტი და არ ამოწმებს მის ანგარიშებს. საშობაო ტური ნათელაშვილმა და მისმა ცოლმა მოიწყვეს ამერიკაში. პარტიის სხვა წევრები ითხოვდნენ აგრეთვე, გენდერული თანასწორობისთვის გამოყოფილი ხარჯების გამჭვირვალობას, თუმცა ესეც არ მოხერხდა, ეს კი უხსნის ხელ-ფეხს შალვა ნათელაშვილს და დღეს უკვე ბოლო ხმაზე ყვირის, რომ დაუყადაღეს და დიპლომატიურ კორპუსსაც კი მიმართა. მე მივმართავ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საქართველოში, ელჩებს: ნათელაშვილს აქვს უზარმაზარი თანხები ევროპაში, ამ ქვეყნის ელჩებმა უნდა მოახდინონ რეაგირება, თუ რა სახის ანგარიშები აქვს თაღლით, მევახშე შალვა ნათელაშვილს ევროპაში და დაედოს ყადაღა მის ანგარიშებს, ამის შემდეგ კი დაიწყონ გამოძიება"** – აცხადებს სოსო შატბერაშვილი პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

# გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი ოლეგ ეჯიბაძე



კიდევ ერთი დიდებული პიროვნებით გაღარიბდა თბილისი — მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ჟანამ ტელეფონით თვალცრემლიანმა მაცნობა, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩემი სიყმაწვილის მეგობარი, ლამაზი კაცი, საბჭოთა და პარტიული ორგანოების დამსახურებული მუშაკი, ქართული სამეცნიერო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე.

დიახ, ოლეგ ეჯიბაძე არა მხოლოდ დააკლდა მის ოჯახს, მისმა გარდაცვალებამ ერთი დიდებული პიროვნებით გააღარიბა ისედაც საგრძნობლად შეთხელებული ქართული ინტელიგენცია.

ოლეგ ეჯიბაძე 1972 წელს გავიცანი, როცა იგი პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი გახლდათ, მე კი გაზეთ "ზარია ვოსტოკას" აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ლიტერატურული მუშაკი ვიყავი. იმ დროს, როცა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები დაურიდებლად იღებდნენ ქრთამს, ოლეგ ეჯიბაძე ყველასაგან გამოირჩეოდა პირუთვნელობით, პრინციპულობით, უმწიკვლოებით... დიდი ხნით არცერთ სამსახურში არ აჩერებდნენ, რადგან, როგორც მაშინ ამბობდნენ, "თავისი წესიერებით ადგილს აფუჭებდა", ამიტომ, რაც შეიძლება მალე "აწინაურებდნენ" ხოლმე. ფაქტიურად, იმ ადგილიდან გადაჰყავდათ, სადაც დიდი ფულის შოვნა შეეძლოთ, მაგრამ ოლეგ ეჯიბაძის შეუვალი პოზიციის გამო, მის დაყოლიებას ვერ ახერხებდნენ!

ქალაქ თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ იმუშავა ბოლოს, სადაც კურირებდა მრეწველობას, ტრანსპორტს და ვაჭრობას — ყველაზე "მაღალშემოსავლიან" დარგებს.

შევარდნაძის მაშინდელი პარტიული მაფია ვერ დაუშვებდა, რომ "ვიღაც ეჯიბაძის" გამოისობით ამხელა "მარცხენა" შემოსავლები იკარგებოდა და მალე აუშარდნენ — ქალაქის სავაჭრო ქსელში "ბორჯომის" წყალი გამოილიაო და ამ ბრალდებით გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. არა და, ოლეგის კომპეტენცია ქალაქის საზღვრებთან მთავრდებოდა და მას "ბორჯომის" წყლის მომწოდებლებზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი არ გააჩნდა...

უნივერსიტეტში სიხარულით მიიღეს ბატონი ოლეგი. მალე გამოვიდა მისი ავტორობით შექმნილი პირველი სახელმძღვანელო, მას მოჰყვა მეორე, მესამე...

წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაცია. ლამის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ჰქონდა კავშირი მშობლიურ უნივერსიტეტსა და სტუდენტებთან.

საოცარი ფიზიკური ძალის ადამიანი გახლდათ, ამიტომ არ გვჯეროდა, რომ მას რაიმე დაავადება დაჯაბნიდა.

ბოლოს, როცა მისი მდგომარეობა საბედისწეროდ დამძიმდა, მეუღლე ქალბატონი ჟანა, მეგობრები ცნობილი სპორტსმენის ზარიბეგ ბერიაშვილის თავკაცობით, სხვა მეგობარ-ნათესავები ყველაფერს ვაკეთებდით ოლეგისათვის სიცოცხლის დღეების გასახანგრძლივებლად, მაგრამ, ვაგლახ! ამაო გამოდგა ჩვენი მცდელობა!..

2017 წლის 3 აპრილს ოლეგ ეჯიბაძე იმქვეყნიურ საქართველოში გადავიდა!

ნათელში იყოს მისი სული!

მეგობრების სახელით,

**როლანდ ჯალაღანია**

# ნატოს მისამართით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი

ვიდრე საქართველო, ბათუმის მოვლენებით იყო დაკავებული, არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი საერთაშორისო არენაზე. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთის ღირს, ვინაიდან საქართველოს, პირდაპირი მნიშვნელობით თუ არა, ირიბად, უდავოდ ეხება. მათ შორის გამოვყოფდი სამხედრო თვალსაზრისით შავი ზღვის გააქტიურების საკითხს და საქართველოს სურვილს, კიდევ ერთხელ გამოიჩინოს თავი **ნატო**-ში შესასვლელად.

რახანია საქართველოს მოსახლეობას ყოფილი და დღევანდელი მთავრობები დაბეჯითებით უმტკიცებდნენ, რომ ქვეყანა **ნატო**-ს რიგებს მალე შეუერთდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მსგავსს, ადგილი არ აქვს და როგორც ჩანს არც უახლოეს მომავალში ექნება. ამის ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი არსებობს, მათ შორის **ნატო**-ს სტანდარტებთან ქართული ჯარის სიშორე, ქვეყნის არცთუ სწრაფი დემოკრატიზაცია, ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები, ხელისუფლებასა და მედიას შორის არსებული უთანხმოება და სხვა მრავალი.

ობიექტური მიზეზებიდან ხაზგასასმელია რუსეთის ფაქტორი. მართალია, როგორც **ნატო**-ს ხელმძღვანელობა, ისე საქართველოს ხელისუფლება დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ **ნატო**-ში გაწევრება თბილის-ბრიუსელის საქმეა და მესამე მხარე სათვალავში არ მიიღება, რეალური ვითარება სხვას გვკარნახობს.

თვალი შევავლოთ სტატისტიკას. 2001 წლიდან **ნატო**-ს ხარჯებში აშშ-ს წვლილი 63%-დან 75%-მდე გაიზარდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში **ნატო**-ს ყველა წევრმა სახელმწიფომ, გარდა სამისა, საფინანსო კრიზისიდან გამომდინარე, შეამცირა სამხედრო ბიუჯეტი, რითაც ხარჯების მძიმე ტვირთი აშშ-ს დააწვა. ტრამპის განცხადებით, აშშ-ი იხდის ევროპის უსაფრთხოების თანხებს, მაშინ, როდესაც თვით ევროპა თავს არიდებს ამას და პარაზიტადაა ქცეული.

საინტერესოა, **ნატო**-ში შესულ საქართველოს, ვინ გადაუხდიდა საწევროს? იქნებ საქართველოს ხელისუფალთ ჰგონიათ, რომ სხვა, მაგალითად აშშ-ი დაფარავდა მის ხარჯებს?

ასე იყო 2016 წლამდე. **ნატო**-ს წევრი მდიდარი ქვეყნებიც კი არ იხდიდნენ ეროვნული შემოსავლის 2%-ს და რა გასაკვირი იქნებოდა, საქართველოს რომ არ გადაეხადა? მაგრამ ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. ტრამპი ითხოვს გადახდას და თუ არა, **ნატო**-დან გასვლით იმუქრება.

საყურადღებოა ტრამპის სხვა განცხადებებიც **ნატო**-სთან დაკავშირებით, რომ ორგანიზაცია საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის საპირწონედ არსებობდა, დღეს, არც ერთია და არც მეორე, **ნატო** რა საჭიროა?

ტრამპი მართალია, მაგრამ მართალნი არიან **ნატო**-ს შტაბ-ბინაში შეყუჟული, მაღალხელფასიანი დაბალ-მაღალი რანგის მოხელეები — მათაც ხომ უნდათ ცხოვრება? და რომ იცხოვრონ, **ნატო**-ს არსებობისთვის საბაბის მოძებნაა საჭირო. საბაბიც მოიძებნა — რუსეთის მოსალოდნელი აგრესია.

სჯერა ვინმეს ამის? არც არავის, მაგრამ განცხადებები კეთდება — შემაშფოთებელი და საყურადღებო, რაც **ნატო**-ს ყოფნა-არყოფნის თემას ააქტიურებს — ყოფნის მისამართით.

ბოლო 25 წლის განმავლობაში **ნატო**-ს არსებობის მცნებამ პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. მტერი რუსეთის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე) ნახევარმთვარის მსგავსად შემორკალვა და აღმოსავლეთით გაფართოება. ნიშნავს თუ არა ეს ნაბიჯი რუსეთისთვის საფრთხეს?

კრემლის აზრით — ნიშნავს. და რატომ? საომარი მოქმედების შემთხვევაში უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში განლაგებული **ნატო**-ს კონტიგენტი, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, უფრო სწრაფად და ეფექტიანად დაემუქრება მოსკოვს, რუსეთის სხვა ქალაქებს, სამხედრო ობიექტებს.

ანალოგიური ვითარებაა შექმნილი **ნატო**-ს აღმოსავლეთ ქვეყნებში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხშიც. რუმინეთ-პოლონეთში განთავსებული სისტემები გაცილებით ნაკლები დროის განმავლობაში მიაღწევენ მიზანს, ვიდრე გერმანიაში ან სხვაგან განლაგებული.

რუსეთის წუხილი და პროტესტი გასაგებია და რაც არ უნდა ამტკიცოს ბრიუსელმა აღმოსავლეთით **ნატო**-ს გაფართოება და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება რუსეთს არ ემუქრებაო, რუსეთის მიერ ნაკლებად დასაჯერებელია.

რუსეთი, სიტყვაზე აღარ ენდობა **ნატო**-ს, რომელმაც დაამტკიცა, რომ მისი სიტყვა სატყუარაა და მეტი არაფერი, ვინაიდან მან დაარღვია ზეპირი შეთანხმება, რომ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ყოფილ წევრ-სახელმწიფოებს **ნატო**-ში არ შეიყვანდა. შეიყვანა!

**„ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ნატოს ტერიტორია აღმოსავლეთით არ გაფართოვდება. ეს ეხება არა მარტო გდრ-ს, ნატო აღმოსავლეთში არსად არ იქნება“**, — განაცხადა გფრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა (1990 წლის 31 იანვარი).

1997 წელს **ნატო**-ს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ნატოში შემავალმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს მიიწვიონ მოსალაპარაკებლად ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი, **ნატო**-ში შესვლასთან დაკავშირებით.

1997 წელს, სენატში გამოსვლის დროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა თქვა: **„ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთის წუხილს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ საკითხში არ ვეძებთ კომპრომისს რუსეთთან. იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და გავაკეთებთ არის ცალმხრივად ნატოს პოლიტიკის განმტკიცება“**. ამავდროულად მან თქვა: **„ნატო აღმოსავლეთის ახალ წევრ ქვეყნებში არ განალაგებს ბირთვულ იარაღს და შეიარაღებულ ძალებს“**.

რუსეთის სამწუხაროდ, ბრიუსელის სიტყვა და საქმე დაშორდა ერთმანეთს. **ნატო**-მ არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნები შეიყვანა ამ ორგანიზაციაში, არამედ ყოფილი საბჭოთა ბალტიისპირა რესპუბლიკებიც და იერიში უკრაინა, საქართველო, მოლდოვაზე მიიტანა.

მოლდოვაში, ახალი პრეზიდენტის დოდონის არჩევის შემდეგ, ვითარება ანტინატოურად იცვლება, მაგრამ საქართველოსა და უკრაინაში, პირიქით. ორივე ქვეყნის ხელისუფლება დაბეჯითებით იღვწის **ნატო**-ში შესვლისთვის. ორივეს არგუმენტად მოჰყავს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესია და ხალხის სურვილი — იყოს **ნატო**-ში.

არადა, 2008 წლის პლებისციტის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში, მათ შორის **ნატო**-ს მიმართ დამოკიდებულება. მოსახლეობის მხოლოდ 37%-ს სურს **ნატო**-ში ყოფნა (ამერიკული ინსტიტუტის გელაპის კვლევის მიხედვით) და არა 75%, რაც 2008 წლის პლებისციტით დაფიქსირდა. მაგრამ საქართველოს პროდასავლური ხელისუფლება ჯიუტად აგრძელებს შევარდნაძე-სააკაშვილის მიერ აღებულ ევროატლანტიკურ კურსს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბობოლა ბიძიებმა ვაშინგტონსა და ბრიუსელში კარგი თვალით შეხედონ დღევანდელ ხელისუფლებას, გზა გაუხსნან **ნატო**-სკენ.

ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი გადადგა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ჩაჩიბაიამ, რომელმაც ნატოს პროექტს — შავ ზღვაზე **ნატო**-ს გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი წინადადება შეაგება — ფოთში სანაპირო დაცვის სამხედრო ბაზის შექმნა.

სულ ახლახანს, **ნატო**-ს კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა პაველმა, რომელიც იმყოფებოდა თბილისში, განაცხადა: **„საქართველო, უდავოდ, არის მოთამაშე და შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი რეგიონის უსაფრთხოების საკითხში“**. თავდაცვის სამინისტროში გამართული შეხვედრის დროს განხილულ იქნა შავი ზღვის უსაფრთხოების თემაც. **„საქართველომ უკვე მიმართა ნატოს შტაბ-ბინას, რათა მიიღოს ინფორმაცია, რა ფორმით შეეძლება მას მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი მიენიჭებათ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს“**, — თქვა ჩაჩიბაიამ.

რატომ შინაგან საქმეთა სამინისტროს?

2009 წელს საქართველომ გააუქმა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და მის ნაცვლად შემოიღო სანაპირო დაცვა, რომელიც შსს-ში შედის. თუ ჩაჩიბაიას წინადადებით **ნატო** გამოიყენებს ფოთის პორტს, იქ იქნება განლაგებული სანაპირო დაცვა — შესაბამისი შეიარაღებით აღჭურვილი. სამხედრო ბაზა შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელოვან ტერიტორიას გააკონტროლებს, რაც თავისთავად გააღიზიანებს რუსეთს. რუსეთის გაღიზიანება კი ძვირი უჯდება საქართველოს, თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ომიდან გამომდინარე.

დამოუკიდებლად არსებობის პირველსავე დღიდან დაწყებული, საქართველოს ხელისუფლებამ დაიჭირა რა ევროატლანტიკური კურსი, არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ ავტონომიურ ფორმირებებს დაუწყო თითის ქნევა, არამედ ყოფილ **„დიდ ძმასაც“**. და საქმე ისეთ წერტილამდე მიიყვანა, უარესს რომ მტერიც ვერ ინატრებდა.

1992 წელს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყველა ერთად, საქართველოს გარდა, გააწევრეს გაეროში. საქართველოს, ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისთვის, გამოსაცდელი ვადა დაუწესეს — საყოველთაო სახალხო არჩევნების ჩატარებამდე. მოსკოვიდან დაბრუნებულმა შევარდნაძემ ფიცი დადო გაეროს წინაშე, რომ ავტონომიებთან ყოველგვარ საკამათო საკითხს მოლაპარაკების გზით გადაწყვეტდა, რაც გაეროში გაწევრების დღეს, სიტყვით გამოსულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიკვაიძემ გააჟღერა.

საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია ფიცი და ჩიკვაიძის გაეროში გამოსვლიდან სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ დღეებში, სამხედრო ლაშქრით შევარდა აფხაზეთში. ასე დაიწყო ომი აფხაზეთთან, რომელმაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის საქართველოს ფარგლებში არსებობას.

იურიდიულად ორივე ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა და ცენტრის კეთილი ნების და გონიერების გამოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა ფაქტიურადაც დარჩენილიყო, მაგრამ თბილისიდან მმართველობის სურვილმა იძალა, რამაც განსაკუთრებით თავი სააკაშვილის ხელისუფლების დროს იჩინა. 2008 წლის ომი სწორედ ამის შედეგია.

ქართულ პოლიტიკას ვერც მაშინ და ვერც დღეს ვერ წარმოუდგენია, უნიტარული მართვის გარეშე, ქვეყნის ხელმძღვანელობა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა ავტონომიური ფორმირებები იყო თუ არა. ისინი ისეთივე უნდა ყოფილიყვნენ, როგორიც სხვა რეგიონები, ე.ი. რეგიონები და არა ავტონომიები — შესაბამისი უფლებამოსილებით.

არადა ყოფილი და ჩვენგან წასული ავტონომიები აფხაზეთის ომის შემდეგაც მზად იყვნენ საქართველოს ფედერაცია-კონფედერაციაზე ემსჯელათ და დარჩენილიყვნენ საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ თბილისმა არადა არ გადადგა შესაბამისი ნაბიჯი. უფრო უარესი — უნიტარიზმის განსამტკიცებლად, 2008 წლის ომიც წამოიწყო.

1992 წლის ომიდან 2008 წლის ომამდე საქართველოს ხელისუფალთა დამოკიდებულება რუსეთის მიმართ იყო აგრესიული, პროვოკაციული, შანტაჟის მატარებელი, რამაც ორ ქვეყანას შორის ღრმა ნაპრალი გააჩინა. ცხადია, ორი ქვეყნის დაპირისპირების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს აშშ-ა, ნატომ, ევროკავშირმა. მათი მიზანი იყო მარტივი — რუსეთის კავკასიიდან განდევნა. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინა გაამერიკულებულ-გაევროპელებულმა საქართველომ, მაგრამ არც ერთმა სხვამ ამიერკავკასიიდან. პასუხად, საქართველო ყველაზე მძიმედ დაისაჯა, თუმცა როგორც ჩანს შესაბამისი დასკვნები ვერ გააკეთა. და რომ ვერ, ნათლად გამოჩნდა აჭარის მოვლენებში — პატარა ინციდენტიც საკმარისი გამოდგა სერიოზული ბუნტის ასაგორებლად.

ხელისუფლება ბათუმში განვითარებულ ამბებს სხვას აბრალებს ანუ **„ნაცურ“** ოპოზიციას, მაგრამ არამცდაარამც საკუთარ თავს. პრობლემა ძველია — ქაღალდზე ავტონომია, რეალურად ჩვეულებრივი რეგიონი. როდესაც უმუშევრობით აღსავსე ავტონომიაში ხელმძღვანელ თუ რიგით კადრებს თბილისიდან ჩაიყვან, იქაურთა განწყობა ცენტრის მიმართ რომ აგრესიული იყოს, გასაკვირი არ არის.

ანალოგიურადაა საქმე რუსეთის მიმართაც. **ნატო**-ს ყურმოჭრილი მონა საქართველოს ხელისუფლება, პასუხისმგებლობის მასზე გადატანის მიზნით, რას არ სთავაზობს **ნატო**-ს სამხედრო-საწვრთნელ-სასწავლო ცენტრიდან დაწყებული ფოთის პორტით დამთავრებული. სთავაზობს და წამითაც არ ფიქრობს, რომ რუსეთი ნიშანში ამოიღებს არა მარტო „სასწავლო“ ცენტრს, ფოთის პორტსაც და მარტო ამით არ შემოიფარგლება.

რუსეთის შავ ზღვაზე აქტიურობა ყირიმის მიერთების შემდეგ არ დაწყებულა, თუმცა გაათკეცდა, ვინაიდან გაათკეცდა აშშ-ს სამხედრო გემების ვიზიტები შავი ზღვის პორტებში. რომ არა რუსეთის კარდინალური გადაწყვეტილება ყირიმთან მიმართებაში, უკრაინა მზად იყო **ნატო**-სთვის დაეთმო სამხედრო-საზღვაო ბაზა, რაც თავისთავად დიდ პრობლემებს შეუქმნიდა რუსეთს.

დასავლეთმა ვერაფრით მოინელა ყირიმის დაკარგვა — რუსეთის რკალში მოქცევის მყარი საყრდენი, ამიტომაც ახალ გზებს ეძებს შავ ზღვაზე უპირატესობის მოსაპოვებლად, რაშიც ქართველი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებაც უწევს დახმარებას.

**ჯ. ჯამლეტიძე,**
**პოლიტოლოგი**

# ქართველი ტროცკისტები და მათი გააქტიურებული ლაშქრობა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

რაც ახლა ქვეყანაში ხდება, ისეა აცილებული ლოგიკასა და ქვეყნის ინტერესებს, როგორც "ნაციონალები" საღად აზროვნებას. თუ 30-იან წლებში, ტროცკისტი მავნებლები ჩუმად მაინც იყვნენ და იატაკქვეშიდან არალეგალურად ებრძოდნენ სტალინს, მათგან განსხვავებით დღევანდელი ქართველი ტროცკისტები პირდაპირ ხმალამოღებული იბრძვიან და ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ და ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინონ. სხვას ვერაფერს დავარქმევ ბოტანიკური ბაღის გარშემო ატეხილ იმ აჟიოტაჟსა და პროვოკაციულ გამოსვლებს, რასაც ეს ვითომ პარტიზანი მებაღეები, უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ქვეყნის მოღალატე არასამთავრობოები და ნაცბობოლა აქტივისტები აკეთებენ. ათას სისაზიზღრეს ჩადიან და ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ ივანიშვილი ხალხს შეაძულონ. რატომ არის, რომ საქართველოში ყველას ყველაფრის უფლება აქვს გარდა ქართველისა? რატომ არის, რომ არაბებს უფლება აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უხვმოსავლიანი ნოყიერი მიწები შეიძინონ სოფ. წილკანში 70 ჰა, წეროვანში 18, მუხრანში 52, ყვარელში სოფ. კუჭატანში 37, ხოლო ქართველ ბიძინა ივანიშვილს იმის უფლებაც კი არ აქვს, ქვაღორღიანი და გახრიოკებული 29 ჰა მიწა იყიდოს თბილისის გარეუბანში. რატომ არის, რომ საქართველოში მოქმედი და უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებულ ამ ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე ხმა არ ამოუღიათ, ხოლო ივანიშვილი პირდაპირ ჯვარს აცვეს. უფრო მეტიც, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე გამოცხადებული მორატორიუმი კაპიტანმა ეკა გიგაურმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომაც ამ სულგაყიდული გიგაურის სარჩელი დააკმაყოფილა და მორატორიუმი გააუქმა, რითაც ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესები ფეხებზე დაიკიდა. ამ ხალხს, ანუ ქართველ "ტროცკისტებს", ისე აქვთ გონება დაჩლუნგებული და თვალები დაბინდული, რომ უცხო ქვეყნებისგან გადმოგდებული გროშების გარდა ვეღარაფერს ამჩნევენ. ხოლო ქვეყანა და მისი ინტერესები, ქართველ ხალხთან ერთად, ფეხებზე ჰკიდიათ. ქვეყანაში საქმე, რომ კარგად ვერ მიდის, ეს ფაქტია და ამას დიდი მტკიცება აღარ ჭირდება. იმის მაგიერ, რომ ხელისუფლებამ ხალხთან ერთად მთელი ძალისხმევა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას მოახმაროს, სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობის კეთილდღეობაზე იზრუნოს, და ეს ხალხი როგორმე სიღატაკისაგან იხსნას, ყოველ წუთს "ნაციონალების" მიერ დაგებულ მახეში ებმება და ძალაუნებურად მათ მიერ მოწყობილ ავანტიურის ქსელში ეხვევა. მოკლედ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ იქნა და ვერაფრით გაიგო, რომ მათივე უნიათობით გათამამებული ნაციონალები, როლებსაც ციხეში გაგზავნის ნაცვლად სასათბურე პირობები შეუქმნეს, ისე მომძლავრდნენ, რომ უკვე საბოტაჟზე გადავიდნენ და აქეთ უტევენ ხელისუფლებას. დავესესხები ბ-ნ ზურაბ აბაშიძეს და მისი სიტყვების პერიფრაზას გავაკეთებ. ძვირფასო "ოცნებავ", რად ვერ გაიგეთ, რომ "ნაციონალებს", ხელისგულზე ერბოკვერცხიც რომ შეუწვათ და ისე მიართვათ, ისინი მაინც უკმაყოფილები იქნებიან და მათ გულს ვერაფრით მოიგებთ. თქვენს მიერ გაკეთებული, რაც არ უნდა კარგი საქმე იყოს, ვერაფრით მოაწონებთ და მუდამ წინააღმდეგი იქნებიან. ჯერ იყო და ერთი ამბავი ატეხეს, რუსული გაზი არ გვინდა, ის ხომ ოკუპანტი ქვეყნისაა და ამ ბერკეტს რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ზემოქმედებისთვის გამოიყენებსო. 27 თებერვალს გაზპრომის საწინააღმდეგო აქციაც მოაწყვეს და მისი საწინააღმდეგო ლოზუნგებიც გამოიტანეს. საწყალი რუსეთი, თურმე ეს ერთად-ერთი ბერკეტი ჰქონია ჩვენზე ზემოქმედებისათვის, და ამასაც ჩვენ თვითონვე ვაძლევთო, ისტერიულად გაჰკივიან "ნაციონალები". თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ხელისუფლების მიერ გაკეთებული კარგი საქმეებიდან ერთ-ერთი ესეც იქნება. არა მგონია ეს ქვეყნის გამყიდველი "ნაციონალები" ისეთი სულელებიც იყვნენ და იმდენი არ იცოდნენ, რომ, რაც მეტია ალტერნატივა საქონლის მოწოდებაზე, მით მეტია კონკურენცია, რომელიც თავისთავად ნიშნავს მოსახლეობის უზრუნველყოფას კარგი ხარისხისა და შედარებით დაბალი ფასის პროდუქციით. ეს აქსიომაა და საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ ქვეყნის მტრობა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟია. ზუსტად "გაზპრომთან" დაწყებულმა მოლაპარაკებებმა აიძულა ჩვენი აზერბაიჯანელი მეზობლები, ფასის შემცირებაზე დაეწყოთ საუბარი. ჩვენს "ნაციონალებს" კი, ამ თემის როგორმე პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა უნდათ, თუ არა, სულ ფეხებზე ჰკიდიათ მოსახლეობისათვის გაზი გაიაფდება თუ გაძვირდება. თანაც ამას ამბობს ხალხი, რომლებმაც ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტები რუსეთს ჩაუგდეს ხელში. მოკლედ შუბლზე ძარღვს თუ გაიწყვიტავ, კაცმა შეიძლება ყველაფერი იკადრო. თუმცა რომელი ძარღვის გაწყვეტაზეა ლაპარაკი, "ნაციონალებს" შუბლზე ძარღვი კი არა, მე მგონი შუბლი საერთოდ არა აქვთ. პარალელურად, თბილისის პანორამის საწინააღმდეგო აქციაც ზედ მიაყოლეს. გულისამრევია აქციის მონაწილე და იქ მოქოთქოთე ერთი და იგივე სახეები: ნინია კაკაბაძეები, ქეთათო ჩარკვიანები და ათასი ჯურის ქვეყნის გარედან დაფინანსებული და დოლარებზე სულგაყიდული სამშობლოს მოღალატე არასამთავრობოები. ქვეყნისათვის სასიკეთო ამ წამოწყებების ერთადერთი "ნაკლი" ისაა, რომ იგი პირდაპირ თუ ირიბად ბიძინა ივანიშვილთანაა დაკავშირებული. ამიტომ იკლავენ თავს, არაფრით არ უნდათ, რომ ამ კაცის გაკეთებული კარგი საქმე ხალხმა ნახოს, თუ არა "ნაციონალებსა" და მათ დამქაშებს, სულ არ ადარდებთ "გაზპრომი" და ქართველი ხალხი. არადა ეს კაცი ქალაქს აშენებს, იქაურობას ალამაზებს. ხოლო ქვეყნის დამაქცევარმა სააკაშვილმა და უგულავამ, მართლა დაამახინჯეს და იერსახე ისე შეუცვალეს თბილისს, კაცს გული გეტკინება. ნახეთ რას დაამსგავსეს გმირთა მოედანი, თაბუკაშვილის ქუჩაზე რა სიმახინჯე ააშენეს. რა უქნეს აკადემქალაქს, სპორტის სასახლეს მაღალსართულიანი კორპუსების ჯავშანი შემოარტყეს. მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახლები ისეა ერთმანეთზე მიბჯენილი, სიმჭიდროვისაგან სუნთქვა შეგეკვრება კაცს, მაგრამ კაციშვილს ხმა არ ამოუღია. გაზპრომის ამბავს, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ბ-ნ ელისაშვილის სკანდალური განცხადება მოჰყვა და ატყდა ერთი ვაიუშველებელი. სეირის მოყვარულებმა, პარალელურად ბ-ნი გოგი თოფაძის თემა აიტაცეს და ლამის ჯვარს აცვეს კაცი. კი, მაგრამ ამ კაცმა რა თქვა ისეთი, რაც ხალხმა აქამდე არ იცოდა. სხვათაშორის, გოგი თოფაძე მაშინდელ პარლამენტში ის ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელიც ჩვენს ცნობილ "კეთილისმყოფელს", სავალუტო ფონდის ყბადაღებულ წარმომადგენელს ბ-ნ შადმან ვალავს დაუპირისპირდა. ვალავი კიდევ ის კაცია, რომელიც სესხის სანაცვლოდ, ქვეყნიდან ჯართისა და ხე-ტყის გატანის შესახებ კანონის მიღებას რომ გვაძალებდა. ასეთივე პოზიცია დაიკავა მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ბ-ნმა დავით იაკობიძემაც და თანამდებობიდან გადადგა. სამწუხაროდ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ბ-ნმა ლადო პაპავამ და პარლამენტმაც უმრავლესობის მხარდაჭერით ეს კანონი მიიღო. გოგი თოფაძე მეურნე კაცია, კარგად ერკვევა მრეწველობის საკითხებში და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი პოზიცია დაიკავა. ის, რომ მაშინ მართალი იყო დღევანდელმა დღემ დაადასტურა. ხელში შეგვრჩა, გაძარცული და დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები, გაპარტახებული ეკონომიკა, განადგურებული ფლორა და ფაუნა, ქვეყნიდან გაქცეული მოსახლეობის მესამედი, საკუთარ ქვეყანაში ასი ათასობით ლტოლვილი და გაღატაკებული მოსახლეობა. მე მგონი, "რესპუბლიკელებსაც" "ნაციონალებივით" ამნეზია დაემართათ და ყველაფერი დაავიწყდათ. გადახედონ საგარეჯოს არჩევნებისდროინდელ პერიოდის პრესას და ბევრად უფრო მწვავე შეფასებებს ნახავენ რესპუბლიკელების, და კერძოდ თინა ხიდაშელის მიმართ, ვიდრე ეს გოგი თოფაძემ გააკეთა. ისე, რესპუბლიკელები ნამდვილად არ უნდა აძლევდნენ თავს უფლებას, ქართველ ხალხს ასეთი მენტორული ტონით ელაპარაკონ. ისე გვამადლიან თავს, თითქოს ისინი, ბ-ნი ბიძინას ხათრით კი არა, პირიქით, ხალხს თურმე მათი ხათრით ბიძინა ივანიშვილი აურჩევია. კარგით რა, ნამუსიც კარგი საქონელია. ამაში ცოტაოდენი ბრალი ბ-ნ ბიძინასაც მიუძღვის. მან ამდენი უფლება არ უნდა მისცეს რესპუბლიკელებს, რომლებიც მას პატარა ბავშვივით ათამაშებენ თავიანთ ჭკუაზე, ხან ხიდაშელს ანიშნინებენ თავდაცვის მინისტრად, ხანაც ამ უსახური კორძაიასა და ვინმე თამარ ხიდაშელის მხარდასაჭერად იყენებენ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ბ-ნი დავით ბერძენიშვილის ვერსია, ქ-ნ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის თაობაზე. იმის შემდეგ, რაც პრემიერმა გამოაცხადა, რომ მეტი ცვლილება მინისტრთა კაბინეტში არ იგეგმებაო, თურმე იმავე საღამოს, ბ-ნი დავითი პარლამენტის კაფეში ჩასულა ფინჯანი ყავას დასალევად რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, და სრულიად შემთხვევით თავში ასეთი აზრი მოსვლია: "ხომ შეიძლება თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დავნიშნოთ, ამაზე უკეთესი კანდიდატურა ვინ უნდა იყოსო". აუ, ეს რა გენიოსური აზრი მოგსვლია თავშიო, ერთხმად შეუძახიათ დათიკოსათვის თანასუფრელებს. იმწუთშივე დავუკავშირდი ღარიბაშვილს და ჩვენი მოსაზრება გავაცანითო, ჩვეული სიდინჯითა და თავდაჯერებულობით აცხადებს ბ-ნი დავითი. ახლა ღარიბაშვილს აუტეხია ერთი ამბავი, და მოწონების ყიჟინა დაუცხია ტელეფონის მეორე მხარეს. კაცი პირდაპირ თავს იკლავდა თურმე, ეს როგორ მომივიდა და მისი აღმოჩენა თქვენ როგორ დამასწარითო. ასე სასწრაფო წესით დაინიშნა ქ-ნი თინა თავდაცვის მინისტრად მეორე დღესვე. ამ ზღაპრების შემდეგ, გულწრფელად შემეცოდა საწყალი ქოსატყუილა, რომელიც ამ ფონზე ისე საწყლად გამოიყურება, რომ ბ-ნ დავითს კოჭებამდეც ვერ მისწვდება. ბ-ნო დავით, ამ განცხადებით თქვენ ქართველ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარეთ და შეურაცხყოფა მიაყენეთ. მართალია ხალხის გამოთაყვანებისა და ტვინის გამორეცხვის კამპანია საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით მთლად ისეც არაა ქართველი ხალხის საქმე, ეს ზღაპრები რომ დაიჯეროს. რესპუბლიკელები რომ მთლად სანდო და დასაყრდენი ძალა არ არის, ისინი ამას დროდადრო, კანონების მიღებისას თავიანთი საქმიანობითაც ამტკიცებდნენ. უმრავლესობას ხან ემიჯნებოდნენ და ხმის მიცემაზე თავს იკავებდნენ, ხანაც დამადლებული ტონით აცხადებდნენ უმრავლესობასთან კომპრომისზე წავედითო. ახლა, ცოტა რომ გაუჭირდათ, ნიღაბი ბოლომდე არა, მაგრამ კაიგვარიანად ჩამოიწიეს. ხმალაძემ პაპუაშვილს 4,5 ქულა დაუწერა, ქ-ნი თინა "რუსთავი 2"-ში გაიქცა და გაბუნიას ჩაეხუტა. კორძაია ხომ თავისი გენიოსური აზრებით ყოველდღე გვმოძღვრავს. მოკლედ შოუების ეპოქაში ვცხოვრობთ. მდგომარეობა რომ კიდევ უფრო გახმაურებულიყო, ისედაც გამწვავებულ სიტუაციას ახლა უკვე ციხისძირის სამი ხის ამბავიც დაამატეს, და ივანიშვილი ლამის ქვეყნის მოღალატედ გამოიყვანეს. კი მაგრამ ამ 100-150 წლის მანძილზე, სანამ ამ ხეებით ბ-ნი ბიძინა დაინტერესდებოდა, ვინმეს ახსოვდა, ან ვინმემ იცოდა ამ ხეების შესახებ? სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, თუ მისი ფოთლების შრიალი აჭარის ბიუჯეტს ავსებდა. ვინმემ დათვალეთ აქამდე რამდენი ასეთი ხეა მოჭრილი და ბუხარში აგიზგიზებული? აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ და ამაზე, ამის ნახევარი ამბავი არ აუტეხიათ "ნაციონალებს", რაც ამ სამ ხეზე ბიძინა ივანიშვილს დააწიეს. თქვე მართლა უშუბლო "ნაციონალებო", კი მაგრამ ასე ყველას ერთად ამნეზია, როგორ დაგემართათ, რომ ყველაფერი დაგავიწყდათ. მთელი საქართველო გაჩეხეთ, რცხილიდან დაწყებული უნიკალური წაბლისა და ურთხმელის ჯიშის ხეებისაგან მასიურად გაწმინდეთ საქართველო, და მთელი ხე-ტყე ქვეყნიდან გაზიდეთ. როგორც ამბობენ, ამ საქმეს ახალციხესა და მთელ მესხეთ-ჯავახეთში მერაბიშვილის მამა, ხოლო ტყიბულსა და რაჭაში ძმები კუბლაშვილები ლობირებდნენ. ტყიბულის რაიონში ერთადერთი სოფელი მუხურაა, სადაც ამ მოძალადე ხის მჭრელთა ბრიგადას, ხალხი ბარებითა და ფიწლებით შეიარაღებულნი წინ აღუდგა და სოფელი წაბლის ხეების მასობრივი გაჩეხვისაგან გადაარჩინა. თუ არ გჯერათ ჰკითხეთ ამ სოფლის მკვიდრს, ტყიბულის რაიონის მაჟორიტარ ვაიდეპუტატ ქ-ნ ელისო ჩაფიძეს და ის დაგიდასტურებთ. მოკლედ მართლა უშუბლო უნდა იყო კაცი, ამის შემდეგ ივანიშვილს ამ სამ ხეზე რომ შეედავო. თანაც ეს კაცი ამ ხეებს კი არ ჭრის, სხვაგან უნდა გადარგოს. როგორც ჩანს ყველა მისი ქმედება ხეების გადარგვასთან დაკავშირებით კანონიერი იყო, რადგან ნაციონალებს არგუმენტები შემოელიათ და ახლა უკვე სხვა სკანდალი წამოიწყეს. ერთი ამბავი ატეხეს, გადატანის დროს ეს ხეები სხვის კუთვნილ ტერიტორიაზე უნდა გაატაროს და მისი ნებართვა არ აქვსო, ამით კი სხვისი საკუთრების უფლებას არღვევსო, ერთხმად გაჰკივის "სხვისი საკუთრების დაცვასა" და "კანონის უზენაესობის სამსახურში" დამშვრალი, "ნაციონალური ბანდა". საინტერესო ისაა, რომ თვითონ იმ ტერიტორიის პატრონი, სადაც ეს მოთხრილი ხეები უნდა გაატარონ ხმას არ იღებს, არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს, და ამათ რა აყაყანებთ ვერაფერი გამიგია. თუმცა, ხმას როგორ ამოიღებდა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ტერიტორიას პატრონი საერთოდ არ ჰყოლია და ისეთივე სიაფანდი ყოფილა, როგორიც ჩვენი "ნაციონალები" არიან. თქვე კაი ხალხო, აუქციონის წესით შეძენილ ჩემს კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე, ჩემი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, ჩემი სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ, მისმა მოადგილეებმა ალავიძემ, მელაძემ და ვაკე-საბურთალოს მაშინდელმა გამგებელმა იოსელიანმა სკვერი გააშენეს და ზედ ბავშვთა სათამაშო მოედანი მოაწყვეს. ვის არ მივმართე, რა სტატიები არ გამოვაქვეყნე, მაგრამ არაფერი. მაშინ რატომ ხმა არავინ ამოიღეთ და ჩემი კერძო საკუთრების ხელყოფა არავინ გააპროტესტეთ. უკვე თოთხმეტი წელია მიწის ნაკვეთი ჩემი კერძო საკუთრებაა, მაგრამ ყოფილი მოძალადე ხელისუფლების მიერ მასზე ფლობის უფლება დაკარგული მაქვს და დღემდე ჩემს საკუთრებაში არ მიშვებენ. რომ გაიძახით კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვსო, მაინცდამაინც ჩემი საკუთრების ხელყოფა შეიძლება?რა გახდა ეს 370 მეტრი მიწა, რომ ყველა ასე თავს იკლავთ მისი გულისათვის. ეს ხელისუფლებაა და ესენიც არაფრის გამკეთებლები არიან. პროკურატურიდან კუბლაშვილისა და ბადაშვილის სახელზე შეტანილ ცხრაგვერდიან განცხადებაზე, რომელსაც დართული ჰქონდა 146 გვერდზე მერიის მაღალჩინოსნების დანაშაულებრივი ქმედების დამადასტურებელი დოკუმენტები, პასუხი დღემდე არ მიმიღია. მერიაა და კიდევ, აგერ წელიწადნახევარია აჭიანურებს ჩემი საკითხის გადაწყვეტას, სადაც გადასწყვეტი არაფერია კეთილი ნების გარდა. ხელში მაქვს სასამართლოს გადაწყვეტილება და საკუთრების დამადასტურებელი ცნობა, მაგრამ არაფერი. ცოტახანს კიდევ ვიცდი და მერე მე თვითონ აღვადგენ სამართლიანობას, ერთბაშად ავჭრი იმ ნარგავებს და დავამტვრევ იმ სათამაშოებს, რომელიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ჩემს კერძო საკუთრებაში ძალადობრივი გზით გააკეთა იმ მოძალადე ხელისუფლებამ. მერე ნახე რა ამბავი ატყდება, "რუსთავი-2" რა ფერებში დახატავს და როგორ უკუღმა წარმოაჩენს ყველაფერს. დასკვნასაც გააკეთებს: ნახეთ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ივანიშვილმა ეს პროფესორი კაცი, განაშენიანებული სკვერი გააჩეხინაო, და თავიანთ დანაშაულსაც თქვენ დაგაბრალებენ ბ-ნო ბიძინა. რადგან ამ სამი წლის მანძილზე ვერავის ხმა ვერ მივაწვდინე, ვიფიქრე ქ-ნი ბესელია ხელისუფლების გუნდის წევრი და მათთან დაახლოებული პიროვნებაა, თანაც ადამიანის მთავარი უფლებადამცველი და მას მაინც შევხვდები, ჩემს შელახულ უფლებებსაც დაიცავს, და ქვეყანაში შექმნილი რეალური მდგომარეობის შესახებ, ხალხის აზრსაც ხელისუფლებამდე მიიტანს-თქო. ამ იმედით მეც მიღებაზე ჩავეწერე. 2016 წლის 15 თებერვალს, თითქმის 6 თვე გავიდა და რამდენიმე შეხსენების მიუხედავად ქ-მა ბესელიამ ჩემი მიღებისათვის ვერ იქნა და დრო ვერაფრით გამონახა. ვიფიქრე, ალბათ ახალი პოლიტპატიმრების სიის შედგენით არის დაკავებული და ჩემთვის ამიტომ ვერ მოიცალა-თქო. როგორც ახლახან გაირკვა, თურმე მართლა ამ საქმით ყოფილა დაკავებული და შეუდგენია კიდეც 31 კაციანი სია. ქალს ამდენი უშრომია და მე კიდევ, როგორი უმადური ვარ, რატომ არ მიმიღო-მეთქი გული მწყდებოდა. მოკლედ, ქალი ასე დამსგავსებოდეს ინგა გრიგოლიას მეტი არ მინახავს. გრიგოლიამ ის მაინც გააკეთა, რომ 5 თვის შემდეგ დამირეკა და საკრებულოში მიღებაზე დამთანხმდა, მაგრამ ამდენი ლოდინით შეურაცხყოფილმა მე თვითონ განვუცხადე უარი და გაზეთ კვირის "ქრონიკის" საშუალებით ღია წერილი მივწერე. როგორც მეუბნებიან, ქ-ნ გრიგოლიას ეს 4 თუ 5 წლის წინანდელი ამბავი დღემდე მწარედ ახსოვსო. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც ქ-ნ ინგას იმ წერილში გამოთქმული ჩემი წინასწარმეტყველება ზუსტად აუხდა. ვფიქრობ ასეთივე ბედი ელის ქ-ნ ბესელიასაც, და ყველას, ვინც ხალხს ანგარიშს არ გაუწევს და მათ თხოვნას ფეხებზე დაიკიდებს.

**ომარ გოცაძე,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ნარკოტიკები, იარაღი და სისხლიანი გარჩევები — სკანდალური ისტორიები პრეზიდენტის კარზე

ნარკოტიკების ჩადება რომ კვლავ აქტუალური თემაა, ამას ბოლო დღეებში წამოწყებული კამპანიაც მოწმობს, სახელწოდებით **„არა ჩადებას"**, თუმცა ამ წამოწყებასაც თავისი პოლიტიკური ქვეტექსტები აქვს. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეზიდენტის რეზიდენციიდან შეუტიეს. პირველად ეს **„საპასუხისმგებლო"** მისია საკუთარ თავზე პირადად გიორგი მარგველაშვილმა აიღო, როცა განაცხადა, რომ სამართალდამცველების ჩარევით მისი ოჯახის უდანაშაულო წევრზე ზეწოლის მცდელობას ჰქონდა ადგილი. უკვე გასულ კვირას კი მამის ბრალდებებს გაცილებით მეტი სიცხადე შესძინა ანა მარგველაშვილმა, რომელმაც გადაცემა **„არჩევანში"** ღიად განაცხადა, რომ სამართალდამცველები ნარკოტიკების ჩადების გზით ზეწოლას ახდენდნენ პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭურსა და მის მეგობარ მიხეილ თათარაშვილზე. შესაძლოა, მის ამ განცხადებას მართლაც აქვს რეალური საფუძველი, თუმცა მინდია გოგოჭურისა და მისი გარემოცვის წარსული გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ მათ ყველა დროის ხელისუფლება დევნიდა და რატომღაც ყველა შემთხვევაში მართლმსაჯულება მათ მიმართ განსაკუთრებული ლოიალურობით გამოირჩეოდა.

**„პრაიმტაიმმა"** საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით პრეზიდენტის ოჯახის ირგვლივ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციები შეკრიბა. ვესაუბრეთ შსს-ს ერთ-ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელიც თავის დროზე პირადად იყო ჩართული მინდია გოგოჭურისა და მისი მეგობრების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში, თუმცა მაშინ ეს საქმე გაურკვეველი მიზეზით თაროზე შემოიდო, მოგვიანებით კი პრეზიდენტის ოჯახთან დაკავშირებული პირების სახელი სხვა არაერთ სკანდალში ამოტივტივდა. მაშ ასე, დავიწყოთ მინდია გოგოჭურით.

28 წლის მინდია გოგოჭური მაკა ჩიჩუას ქალიშვილის, მაშო ჩიჩუას მეუღლეა. პირველად კრიმინალურ სკანდალში 2006 წელს გაეხვია. მაშინ გოგოჭური ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. ცხრა ძმის ქუჩაზე 23 წლის გიორგი ხელაშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო. ხელაშვილს გადაუდებელი ოპერაცია რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩაუტარეს და, საბედნიეროდ, გადარჩა. იმავე დღეს საპატრულო პოლიციამ ეჭვმიტანილის სახით დააკავა მინდია გოგოჭური, რომელიც არსებული დაზიანებებით იმავე საავადმყოფოს რენტგენოლოგიურ განყოფილებაში იმყოფებოდა. მკურნალობის გასაგრძელებლად პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ის №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ორ დღეში, რა დროსაც მინდია გოგოჭური საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მეთვალყურეობის გარეშე გაუშვეს საპირფარეშოში, იგი საავადმყოფოდან გაიპარა. ბრალდებულის გაქცევის ფაქტზე გამოძიება ცალკე, სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლით, დაიწყო, რაც ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მიუხედავად, მაშინ გოგოჭურის ადგილსამყოფლის დადგენა და დაკავება ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ხელაშვილის მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით მინდია გოგოჭურს 30 დღის განმავლობაში ბრალი არ წარდგენია. საბოლოოდ ადეიშვილის უწყებამ ამ ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნაც შეწყვიტა. ეს საქმე დღესაც გაუხსნელია.

მიმალვაში მყოფი მინდია გოგოჭური კი სამართალდამცველების ყურადღების ცენტრში უკვე 2008 წელს ხვდება. ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით ის ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში 4-ჯერ მიეცა და ყველა ჯერზე ჯარიმითა და პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს.

იმავე წელს კი კვლავ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. საქმე ეხება 2008 წლის 30 ნოემბერს თბილისში კოჯრის ქუჩაზე მომხდარ ამბავს, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით, კუთვნილი „მერსედესის" მარკის ავტომობილში თავის, კისრისა და ფეხის არეში დაჭრეს 21 წლის გიორგი სიხარულიძე, ხოლო ბეჭის არეში დაჭრეს მისი მგზავრი, 22 წლის ბექა კვიტაიშვილი. მათთან ერთად მანქანაში იმყოფებოდნენ ელენე ჩხაიძე და თამაზ მეფისაშვილი. ეს უკანასკნელი რამდენიმე დღეში დანაშაულის დაფარვისთვის დააკავეს, უშუალოდ განზრახ მკვლელობის მცდელობაში კი მინდია გოგოჭური და კიდევ ორი მისი მეგობარი ამხილეს, თუმცა დაკავებულები მოულოდნელად გაათავისუფლეს. საქმე დღესაც გაუხსნელია.

სამართალდამცველებმა მხოლოდ 2010 წელს „აღმოაჩინეს", რომ მათ მიერ მრავალგზის დაკავებული და განთავისუფლებული მინდია გოგოჭური ჯერ კიდევ 2006 წლიდან იძებნებოდა, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევის გამო. ამ საქმეზე გოგოჭური 2010 წლის 16 ივლისს დაიკითხა მოწმის სტატუსით. მან დაადასტურა, რომ 2006 წლის 8 ივლისს, გიორგი ხელაშვილის მკვლელობის მცდელობაში უკანონოდ იყო ცნობილი ეჭვმიტანილად. მას შეეშინდა პასუხისმგებლობის და საავადმყოფოდან შეგნებულად გაიპარა, რის გამოც ინანიებდა ჩადენილ ქმედებას. ამის შემდეგ კი ადეიშვილის უწყებამ ბრალდებულ მინდია გოგოჭურს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა, რის თანახმადაც გოგოჭური ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც პირობითად ჩაეთვალა.

გოგოჭურის დაკავება-განთავისუფლებების ქრონიკა ამით არ დასრულებულა. უკვე ახალი ხელისუფლების დროს, ის 2013 წლის 30 ივნისს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მესაზღვრე-კონტროლიორისა და პატრულ-ინსპექტორების სიტყვიერი შეურაცხყოფისა და არდამორჩილების ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველების შეურაცხყოფა გოგოჭურს, სულ რაღაც, 400 ლარი დაუჯდა. სასამართლომ ის სწორედ ამ ოდენობის ჯარიმით გაათავისუფლა.

იმავე წლის აგვისტოში მინდია გოგოჭური გამოძიებამ ბაჩო სირაძის დაჭრის ფაქტზე დაკითხა. შემთხვევა 2013 წლის 15 აგვისტოს ღამით, ჭონქაძის ქუჩაზე მოხდა. ანა მარგველაშვილის მეგობარი ბაჩო სირაძე ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, საქმეში მინდია გოგოჭური ურევია, თუმცა ის მხოლოდ მოწმის სტატუსით დაკითხეს და ამჯერადაც გაათავისუფლეს. საქმე დღესაც გაუხსნელია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის წინ, ვაკეში დაჭრეს მინდია გოგოჭური და მისი მეგობარი მიხეილ თათარაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარი სწორედ ბაჩო სირაძის შურისძიებას უკავშირდება.

2014 წლის 4 იანვარს ყაზბეგის გამზირზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. ადგილზე მისულ ექიმებს გაურკვეველ კომაში მყოფი მინდია გოგოჭური დახვდათ. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს, თუმცა ძიება მალევე შეწყდა. ექსპერტიზამ „ბიოს" გადაჭარბებული მოხმარების ფაქტი დაადგინა.

ასევე, 2014 წლის 16 დეკემბერს მინდია გოგოჭურს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა დანა, რაზეც 12 იანვარს დაჯარიმდა ადმინისტრაციული წესით, 200 ლარით.

მინდია გოგოჭურის სახელი მის მეგობრებთან ერთად ფიგურირებს ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობის საქმეშიც. 2011 წლის 17 ოქტომბერს 23 წლის ტარყაშვილი რუსთაველის გამზირზე ჩაცხრილეს. მომხდარი ორ დაჯგუფებას შორის არსებულ დაპირისპირებას დაუკავშირდა. კერძოდ, ერთ მხარეს იყვნენ ტარყაშვილი და ძმები ჩიჩუები, მეორე მხარეს კი — მინდია გოგოჭური, თორნიკე კაჭარავა და სანდრო გოგბერაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, დაპირისპირების დროს კაჭარავას იარაღიდან გასროლით მოკვდა მისი მეგობარი სანდრო გოგბერაშვილი და დაიჭრა სამი პირი. თუმცა, გოგბერაშვილის მამამ, ივერი გოგბერაშვილმა მოგვიანებით ტარყაშვილის დაჯგუფებაზე იძია შური. ივერი გოგბერაშვილი დაკავებულია. საქალაქო სასამართლომ ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობისთვის მას 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ტარყაშვილების ოჯახი დღესაც დარწმუნებულია, რომ გოგბერაშვილთან ერთად საქმეში სხვა პირებიც ფიგურირებენ, მათ შორის მინდია გოგოჭური და თორნიკე კაჭარავა. აღსანიშნავია, რომ კაჭარავა სანდრო გოგბერაშვილის მკვლელობისა და ძმები ჩიჩუების დაჭრის ფაქტზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დამნაშავედ ცნეს, თუმცა ეს განაჩენი უზენაესმა სასამართლომ (მოსამართლეები - გიორგი შავლიაშვილი, ზაზა მეიშვილი, პაატა სილაგაძე) გააუქმა, რის შემდეგაც მიმალვაში მყოფი თორნიკე კაჭარავა საქართველოში დაბრუნდა.

თორნიკე კაჭარავას სახელი ფიგურირებს 2015 წელს თბილისში მომხდარ კიდევ ერთ გახმაურებულ მკვლელობაშიც. ბუდაპეშტის ქუჩაზე მაშინ ახალგაზრდა მამაკაცი გოგა კვარაცხელია მოკლეს. ამ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

გოგოჭური-კაჭარავას უახლოესი მეგობარი გახლავთ სტატიის დასაწყისში ნახსენები მიხეილ თათარაშვილიც. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, პირველად ის 2010 წელს იარაღის უკანონო ტარებისთვის გაასამართლეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა სასჯელი პირობითით შეეცვალა.

ამჟამად მიხეილ თათარაშვილი წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ არის განთავისუფლებული. საქმე ეხება 2016 წელს ვაკეში, გაბაშვილის ქუჩაზე მომხდარ ქურდობას. გამოძიების ინფორმაციით, თათარაშვილმა სხვისი ბინიდან სამკაულები და ლეპტოპი მოიპარა. თათარიშვილი ფაქტზე დაიჭირეს კორპუსის სარდაფში. მას ჯიბეში მოპარული სამკაულები აღმოაჩნდა. იქვე, ადგილზე, ნაპოვნია გადაგდებული ლეპტოპი. ერთი საინტერესო დეტალი: სასამართლო პროცესს, სადაც მიხეილ თათარაშვილის აღკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილებოდა, ესწრებოდა პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭურიც, რომლის რეპლიკამ დარბაზში მყოფთა ყურადღება მიიქცია. **„ნუ გეშინია, ახლავე გაგიშვებენ"**, — გასძახა განსასჯელის სკამზე მჯდომ მეგობარს მინდია გოგოჭურმა. მიხეილ თათარაშვილი წინასწარი პატიმრობიდან მართლაც დარბაზიდან გაათავისუფლეს. მოსამართლემ მას გირაოს სახით 10.000 ლარის გადახდა დააკისრა.

რაც შეეხება პრეზიდენტის ცოლისძმას, მიხეილ მგალობლიშვილს. მისი სახელიც არაერთ კრიმინალურ სკანდალს უკავშირდება. 38 წლის მიხეილ მგალობლიშვილი წარსულში მრავალჯერ გახლავთ ნასამართლევი. ბოლოს ის, 2017 წლის 11 იანვარს, ღამით ლორთქიფანიძის ქუჩაზე დააკავეს. სამართალდამცავებმა ჩხრეკისას იარაღის მთელი არსენალი ამოიღეს. კერძოდ, პირადი ჩხრეკისას მგალობლიშვილს ბრაუნინგის პისტოლეტი და დანა აღმოაჩნდა, ბინის ჩხრეკისას კი – 2 ბერეტა და 1 ბლოვ-მინის ტიპის პისტოლეტი. ჩხრეკისას, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება **„მეტადონი"**, თუმცა ნარკოდანაშაულისთვის მას ბრალი არ წარდგენია, გამომდინარე იქიდან, რომ იმ დროისთვის მგალობლიშვილი **„მეტადონის"** ჩანაცვლებით პროგრამაში იყო ჩართული. რაც შეეხება იარაღს, პირველ ეტაპზე მან ბრალი არ აღიარა და არც ჩხრეკის ოქმს მოაწერა ხელი, დამატებითი დაკითხვის დროს კი განაცხადა, რომ სამართალდამცველების მიერ ამოღებული იარაღი მამის ნივთებში იპოვა და სურდა, როგორც რელიკვია, მის სახელზე გაეფორმებინა, თუმცა ვერ მოასწრო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა და ამ დროისთვის მიხეილ მგალობლიშვილი №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია მოთავსებული. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტმა ის ამჯერადაც შეიწყალოს, ისევე როგორც 2015 წელს.

წინა ხელისუფლების დროს, კერძოდ, 2008-2010 წლებში მიხეილ მგალობლიშვილი ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისთვის და პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისთვის მიეცა პასუხისგებაში. ორივე შემთხვევაში ჯარიმით გაათავისუფლეს, თუმცა უკვე 2011 წელს ის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის დააპატიმრეს და მრავალწლიანი სასჯელიც შეუფარდეს. საქმე ეხება ქიქოძის ქუჩაზე 24 წლის გრიგოლ ჩიკვაიძის მკვლელობის მცდელობას. ახალგაზრდა მამაკაცი დანით გულ-მკერდისა და მუცლის არეში დაჭრეს. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19.109-ე მუხლით დაიწყო. 2011 წლის მაისში მგალობლიშვილი, თავის მეგობართან ერთად, პასუხისგებაში მიეცა დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო. სასამართლომ მას 15 წლამდე პატიმრობა შეუფარდა, თუმცა პრეზიდენტის ცოლისძმამ საპატიმროში 4 წელიც არ დაჰყო. მას სასჯელი 2013 წელს ჯერ მიხეილ სააკაშვილმა გაუნახევრა, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი საკუთარი ცოლისძმა გიორგი მარგველაშვილმა მთლიანად შეიწყალა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა მიხეილ მგალობლიშვილი შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეიწყალა. კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ **„შეწყალების კომისიას პრეზიდენტის არც ერთი ნათესავის, მათ შორის ცოლისძმის, საქმე არ განუხილავს"**. როგორც ჩანს, ცოლისძმის მიმართ გიორგი მარგველაშვილმა დისკრეციული უფლება გამოიყენა.

თავად პრეზიდენტმა თავის გადაწყვეტილებას ასეთი ახსნა მოუძებნა: **„მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც ისეთივე ლმობიერი ვიყავი, როგორც სხვა შემთხვევებში. იგივე ბრალდებაზე შეწყალება, შემდეგაც ყოფილა"**.

**რ. შალამბერიძე**

# 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი ლიდერი ევგენი ევტუშენკო გარდაიცვალა...



ევგენი ევტუშენკო გარდაიცვალა. 85 წლის ასაკში. შეერთებულ შტატებში. დიდი რუსი პოეტი, 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი ლიდერი და კაშკაშა ვარსკვლავი!

საქართველოს უღალატო მეგობარი!

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კომისიას, სსრკ მწერალთა კავშირში.

მეგობრობდა არაერთ ქართველ მწერალთან.

ბევრი საინტერესო ისტორია შემოგვრჩა მეხსიერებაში, რაც დაკავშირებულია მისი და ქართველ მეგობრების ურთიერთობასთან.

აი, ერთი ეპიზოდი, იმდროინდელი მოგონებებიდან:

...მოსკოვი. მწერალთა ყრილობის დღეები. ლიტერატორთა სახლის რესტორანი... ბუნებრივია, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი დელეგატების სავახშმო სუფრაზე ალკოჰოლიც „ტრიალებს". ქართველი მწერლების გადაპატიჟებას ბევრი ცდილობს, მაგრამ ჩვენები თავს არიდებენ უკვე ბახუსმორეული რუსი კოლეგების სუფრას. როცა ეს „პატიჟი" მოსაბეზრებელი ხდება, ქართველებმა გაცლა ამჯობინეს და გუნდურად გაემართნენ გასასვლელისკენ... უცებ დარბაზში დაიჭექა ევგენი ევტუშენკოს ხმამ: „ბეჟალი რობკიე გრუზინი!"... ნოდარ დუმბაძემ პასუხად უმალ შესძახა — „პროსშჩაი, ნემიტაია როსსია!"... ატყდა ხარხარი, ტაში, დაინგრა დარბაზი... ჟენია ევტუშენკო დაეწია ქართველებს და სათითაოდ ყველას გადაეხვია...

ღმერთმა გაანათლოს ევგენი ევტუშენკოს სული!

**ნუგზარ ფოფხაძე**

# აღდგომის დღესასწაულები სამეგრელოში

იესო ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ **"უქმეთა უქმეა და დღესასწაულთა დღესასწაული"**. მეგრელთა წარმოდგენითაც **ვერჭემი დღაქუ** (დიდზე დიდი დღესასწაული) იყო და მისთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდნენ მთელი დიდმარხვის (დიდ პიჩვანის) განმავლობაში.

ყოველწლიურად აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა 325 წელს, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გადაწყდა. ამის შემდეგ ის ყველა ქრისტიანის უდიდესი დღესასწაულია. ის გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს აღინიშნება და ამიტომაც მოძრავია – (ის ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე შეიძლება რომელიმე დღეს დაემთხვეს).

აღდგომას მეგრელები **თანაფა**-ს ეძახიან. თანაფა კი თენებას ნიშნავს და მასში ასახულია ამ საეკლესიო დღესასწაულის თავდაპირველი არსი. სხვათა შორის, XI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერი აღდგომას უწოდებს **"დღესა მას თენებისასა"**. ასეთი სახელი ამ უდიდესი დღესასწაულისა არა მარტო იმიტომ დამკვიდრდა მეგრულში რომ აღდგომის დღესასწაულს ღამისთევით ხვდებოდნენ და ხვდებიან მორწმუნენი. თანაფა მეგრულში და თენება ქართულში მკვდრეთით აღდგომის, გაცოცხლების ეპითეტად იყო ქცეული და ეს კარგადაა ასახული მეგრულ წყევლაში ვაგორთანაფუდას, რაც არ გაგთენებოდეს, მკვდრად დარჩენილიყავ-ს ნიშნავს აზრობრივად.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში, არქანჯელო ლამბერტის დროს ქრისტიანული სარწმუნოება სამეგრელოში, ისევე როგორც მთელს დანარჩენ საქართველოში, დაკნინებული იყო. მემატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ **"მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... მოუძლურდა სჯული და განირყვნა წესი ეკლესიისა"** (ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 424-425). ქართლ-კახეთზე ნათქვამი ეს სიტყვები, ზედმიწევნით მიესადაგებოდა სამეგრელოსაც. ამიტომ, იმხანად სამეგრელოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერის ის ცნობა, რომელსაც ახლა წაიკითხავთ არ უნდა გაგიკვირდეთ, რადგან ეს ჩვენი წარსულის ერთ-ერთი ზადთაგანია. **"მეგრელებს წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ, რომ დღესასწაულის დროს, რაც შეიძლება დიდი წვეულება გამართონ და რაც შეიძლება დიდ ხანს დარჩნენ სუფრაზე, არ ფიქრობენ არც ლოცვებისა და არც საიდუმლოებების შესახებ... ოდიშში არავინ იცის, თუ აღდგომის დღისათვის აღსარების და ზიარების მიღება არის საჭირო. ყველანი მხოლოდ იმას ფიქრობენ, თუ ამ დღისთვის როგორ დავამზადოთ მეტი საჭმელი და სხვადასხვა ხორცეულობა... თუმცა ეკლესიაში ადრიანად მიდიან, მაგრამ უფრო შიმშილის გამო, ვიდრე ღვთის სიყვარულით, რადგან რაც უფრო მალე მივლენ ეკლესიაში, მით უფრო ადრე გაიხსნილებდნენ... კარგი ორი საათი იქნება გათენებამდე, რომ ეკლესიაში მივლენ და თავდაპირველად იქვე სასაფლაოზე თვითოეული თავის მიცვალებულის საფლავზე ბლომად სანთელს აანთებს"**(არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1938, გვ. 131-132).

მეგრელთა ასეთი ლტოლვა ნაყროვანებისადმი და ღვთისმსახურების არასრულყოფილება კიდევ დიდი ხანი გაგრძელდა. არქიმანდრიტი თეოფანე გაბუნია (1854-1859 წლებში ჭყონდიდელი ეპისკოპოსი), რომელმაც 1852 წელს შემოიარა ჯვრის მაზრა და აღწერა ამ მაზრის ყველა ეკლესია და მათში მომსახურე სამღვდელოება, მღვდელმსახურთა დაბალ დონის ამსახველ არაერთ ცნობას გვაწვდის. ზოგმა მღვდელმა წერა-კითხვაც არ იცოდა და მღვდელმსახურებას (თუ კი ამას მღვდელმსახურება ერქვა) მამა-პაპური წესით ასრულებდა და ლოცვას ზეპირად, თავისებული სიტყვებით წარმოთქვამდა, ზოგმა მღვდელმა კი კითხვა ძლივს იცოდა. სამღვდელონი არც მარხვისა და სხვა საეკლესიო წესების დაცვით გამოირჩეოდნენ... ეკლესიაში შექმნილი ამგვარი მდგომარეობა ღირსეულ საეკლესიო მოღვაწეთა საწუხარს წარმოადგენდა. დიდი ანტონ ჭყონდიდელი (1731-1815) ქადაგებებში კიცხავდა ამგვარ სამღვდელოებას და შეახსენებდა უფლის სიტყვებს "თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი" და არიგებდა, რომ "თუ სოფლის სიხენეშეში აღერევი"იმას მოიმკიო რაზეც სოლომონ ბრძენი გვახსენებდაო – "შური სიხენეშისა დააბნელებსო სულსა". მღვდელი, რომელიც "ცოდვისგან მოუძლურებული ხარ, სხუას ვითარ განკურნებ"-ო, კითხვით მიმართავს მათ (ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, ქუთაისი, 1983, გვ.186).

სამეგრელოს ეკლესიაში არსებული ასეთი მდგომარეობის გამოსწორებას ესწრაფვოდა მთავარი დავით დადიანი, რომელიც თვითონ დიდი მორწმუნე იყო და ამისათვის პირველი ნაბიჯები ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გადადგა. 1840 წელს გამოსცა ბრძანება სამღვდელოების ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. მღვდელი სოციალურად აზნაურს გაუტოლდა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა შერჩევაც კი მის დროს მთავრის უნებურად არ ხდებოდა. ეკლესიური ცხოვრების გაჯანსაღებისაკენ მიმართულმა ამგვარმა ნაბიჯებმა მალე გამოიღო ნაყოფი. სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზი თევდორე ხოშტარია (1832-1907) რომელიც სამთავრო კართან ძლიერ დაახლოებული იყო, თავის მოგონებებში აღწერს სააღდგომო სამზადისს დავით დადიანის დროინდელ ზუგდიდში, რომლის თვითმხილველიც იყო.

აქ გაგაცნობთ მოზრდილ ნაწყვეტს ამ მოგონებიდან, რომელიც ზუგდიდის მუზეუმშია დაცული, რადგან ეს მოგონებები არასოდეს გამოქვეყნებულა (მას ახლა მე ვამზადებ გამოსაცემად). მიუხედავად სიდიდისა, იმდენად ცოცხალ, ზედმიწევნილ სურათს ხატავს ძველი ზუგდიდის სააღდგომო სამზადისისა თევდორე ხოშტარია, რომ ჩვენი მკითხველი, დარწმუნებული ვარ ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს მას.

აი, რას სწერს იგი: "როდესაც ეკლესიაში შაბათს დღესასწაულის დღეებში მწუხრზე და დაისზე მე წავიკითხავდი დიდ საეკლესიო წიგნებს, განსვენებული მთავარი (დავით დადიანი), როგორც მოყვარული საღმრთო წიგნების კითხვისა, ზედ გვერდით დამიდგებოდა და როგორც თვალს ადევნებდა ჩემს კითხვას და ეგრეთვე თან ჩემთან (ერთად) ხმადაბლა, თვითონაც სიამოვნებით კითხულობდა წიგნს. მაგრამ ვინც კი შეხვდებოდა იმისთანები, რომლებიც ვერ კითხულობდნენ ეკლესიაში რიგიანად საეკლესიო წიგნებს და ტიბიკონისამებრ ვერ მოიქცეოდნენ წიგნის მკითხველნი და მეფსალმუნენი, მათ კი აძლევდა საყვედურს და თუ კი შენიშნავდა მკაცრად გაუწყრებოდა". საეკლესიო წესების დაცვის მიმართ დადიანის ასეთი მკაცრი დამოკიდებულების გამო ზუგდიდიში დიდი დღესასწაულების დროს "და მეტადრე ვნების კვირაში ბრწყინვალე პასექის დღესასწაულზე ხომ უაღმატებულეს ხარისხამდე აღიწეოდა დღესასწაულობითი ღუთის მსახურება და ლიტანიობა. მგალობლები ორ ხორად გაიყოფოდნენ თვით ურჩეულესთა მგალობელთაგან, რომლებიც შესდგებოდა ერთ მხარეს როგორც მეგრელიის თვით მაღალ წოდების თავადთაგან ერთად მღვდელმთავრის მგალობლები, ეგრეთვე მეორე მხარეზედ სტუმრად წვეულთ იმერელთა და გურულთა მაღალწოდების მგალობელთაგან და ერთი მეორის წახალისებით ორივ მხარის მგალობელთ აღტაცებაში მოჰყავდათ მსმენელები. მთავარი დიდის გამოჩინებით და დღესასწაულობით მიეგებებოდა ბრწყინვალე პასექის დღესასწაულთა დღესასწაულს. სამისა და ორის კვირის წინ შეუდგებოდა თადარიგს.

დაიწყებოდა როგორც საქართველოდან (ამ დროს საქართველოს ეძახდნენ ქართლ-კახეთს – ა.ტ.), იმერეთიდან, გურიიდან და აფხაზეთიდან წერილობით წარჩინებულთ მოწვევას. ეგრეთვე თავის სამთავროისაგან, თითოეულს პატივად ნათლით შემოსილის დღესასწაულისა, დიდ შაბათ საღამოს მიერთმებოდა მაღალი კელაპტრები. ხოლო ეკლესიის გარშემო გარეთ კედელი ეკლესიისა და სასახლის ეზო და მშვენიერებით განათებული ბაღი, ისრე გაჩაღდებოდა ურიცხვი ფერად-ფერადი ჭრაქებით და ჩირაღდნებით. შუა ღამემდე ერთი საათი რომ რჩებოდა, ისრე პირველი ზარბაზანი გავარდებოდა, რომ ყველანი მომზადებულიყვნენ ეკლესიაში მოსასვლელად. მეორე ზარბაზანი კიდევ გავარდებოდა, რომ ეკლესიაში ყოფილიყვნენ შემოკრებილნი და თორმეტის შესრულებისთანავე ბრწყინვალე აღდგომის ცისკრის ლიტანიის საგალობელი ტკბილი ქრისტე აღსდეგის ხმა იგრიალებდა ათასთა პირთაგან, ხმა ამაღლდებოდა და ღვთის მსახურება დაიწყებოდა. სახარება წარიკითხებოდა ქართულად და ბერძნულად ბერძნის არქიმანდრიტისაგან.... ეკურთხებოდა რა ტაბლა, ყოვლის მხრით გრიალებდა ათასობით ხმა – "ქრისტე აღსდგა მკვდრეთით..." ამის შემდეგ ყველა თავის სახლს მიაშურებდა და "დიდი და პატარა წითელი კვერცხების მირთმევით, გავლით" იწყებოდა მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან დღესასწაულის მისალოცად" (თევდორე ხოშტარიას მოგონებები, ზუგდიდის მუზეუმი, ლიტ.არქივი, №798, 1922წ. გვ.15-17).

აქ შეიძლება ზოგს გაუკვირდეს, ბერძენი არქიმანდრიტის მიერ ზუგდიდის ეკლესიაში ბერძნული სახარება რატომ იკითხებოდაო, მაგრამ ამას ყოველწლიური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა უკვე ბერძნების მიერ ხელში ჩაგდებული იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც ქართველები ჯვარის მამას ეძახდნენ, სამეგრელოში იმყოფებოდა საროჭიკოდ ან თავის საეკლესიო ყმებისაგან სარგოს ასაკრეფად. ჯვარის მამები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქში – კორცხელის ეკლესიაში იდგნენ ხშირად.

როგორც ჩანს, 1853 წელს, რა დროის ამბებსაც აღწერს თევდორე ხოშტარია, ჯვარის მამა სამეგრელოში იყო ჩამოსული და მას, როგორც ქართველთაგან ესოდენ პატივდებული მონასტრის არქიმანდრიტს, სააღდგომო წირვაში მიაღებინეს მონაწილეობა.

დასასრულს, ცოტა რამ აღდგომის დღესასწაულის ისეთ მთავარ ატრიბუტზე, როგორიცაა წითელი კვერცხი. იგი ძველთაგანვე მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა. წითელი ფერით კვერცხის შეღებვით ქრისტიანები სიმბოლურად აღნიშნავენ მაცხოვრის მიერ ჩვენთვის, მოკვდავთათვის დანთხეულ სისხლს. ამიტომაცაა, რომ კვერცხს აღდგომამდე სამი დღით ადრე, წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს რომ ღებავენ. აღდგომას წინ უსწრებს დიდ-მარხვა (მეგრულად – პიჩვანი), რომელიც აღდგომის დადგომისთანავე მთავრდება.

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირა – კვირაცხოვლამდე (ახალ კვირამდე) გრძელდება და მას ნათელი კვირა ეწოდება.

**პ. ზაქარაია**

# როგორ გადანაწილდება ქულები დარღვევებზე მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის ამოქმედების შემდეგ

საგზაო უსაფრთხოების შესახებ კანონის განხილვას, რომელიც მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის დაწესებას გულისხმობს, პარლამენტი სავარაუდოდ მომდევნო კვირიდან დაუბრუნდება.

ცვლილების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მართვის მოქმობა აქვს, წლის დასაწყისში – 1 იანვარს მიენიჭება 100 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულები ამოიწურება წლის დასასრულამდე, მას მართვის უფლება 1 წლის ვადით შეუჩერდება.

მართვის მოწმობის გაუქმების შესახებ მოქალაქეს ეცნობება მაშინ, ანუ გამაფრთხილებელ შეტყობინებას მიიღებს, თუკი მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობა შემცირდება 20 ქულამდე.

ქულების მინიმალური დანაკლისი არის 5, ხოლო მაქსიმალური 40 ქულა.

ჩვენ დავინტერესდით თუ რამდენი ქულის დაკლებას ითვალისწინებს ესა თუ ის დარღვევა.

კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, ითვალისწინებს 20 ქულას, ამ დანაშაულის განმეორებით ჩადენა 1 წლის ვადაში ითვალისწინებს 30, ხოლო სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ითვალისწინებს 30 ქულის დაკლებას.

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა წლის ბოლომდე ამოქმედდება

125-ე მუხლი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, ისჯება როგორც 5 ქულით, ისე უმაღლესი 40 ქულით.

აი, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, თუკი იგი სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს, ამისთვის ჩამოგეჭრებათ 25 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, 30 ქულის ჩამოჭრას ითვალისწინებს.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ამ სახის სამართალდარღვევა 40 ქულით დაისჯება.

მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაში ცვლილება შევა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა აქვს მინიჭიებული, მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობას და ითვალისწინებს 5 ქულის დაკლებას.

კოდექსში შესატანი ცვლილებები ითვანისწინებს კიდევ სხვა დარღვევებსაც, რომელთა დეტალურად ნახვა შეგიძლიათ ინტერნეტში.



# გივი ბერიკაშვილის მხიარული თავგადასავლები

*ვიცოდი, რომ მაისში 84 წლის უნდა გამხდარიყო ყველასათვის საყვარელი მსახიობი გივი ბერიკაშვილი. ამიტომ, საგანგებოდ შევარჩიე ქალბატონ ნანული ზოტიკიშვილის მიერ ლამაზ ძეწკვად აწყობილი მოგონებები ქართველ შემოქმედზე. მაგრამ, ვაგლახ, თურმე არ ეწერა სულმნათ გივი ბერიკაშვილს 84 წლის ასაკამდე მიღწევა – 2017 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. მაინც გადავწყვიტე აღნიშნული მოგონებების დაბეჭდვა გივი ბერიკაშვილზე, რადგან იგი ყველაზე შთამბეჭდავ ნეკროლოგად მივიჩნიე.*

**როლანდ ჯალაღანია**



კარგა ხანია, გივი ბერიკაშვილი ვარსკვლავია ქართველი მაყურებლისთვის, ეს კი მსახიობის ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ცოტაა ისეთი არტისტი, მისნაირად რომ უყვარდეს ხალხს. ნამდვილად სახალხოა, როგორც მსახიობი და როგორც – ადამიანი. მისი ხილვა სცენასა და ეკრანზე ბედნიერების მომნიჭებელია. კაცთმოყვარეა, კეთილშობილი, მეგობრების მოყვარული და გამტანი, საოცრად უბრალო, სიკეთის მთესველი. თეატრში, მსახიობიდან დაწყებული და კაპელდინერით დამთავრებული ყველას უყვარს.

## "დობრი მიშა"

– თბილისში მერვე ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი. მელიქიშვილის ქუჩის გაფართოების შემდეგ, ჩვენი სკოლა დაანგრიეს და ჩემს სახლთან, ჟორდანიას ინსტიტუტის გვერდით გადმოგვიყვანეს. ერთადერთი ფანჯარა, საიდანაც გადაძრომა და შატალოზე წასვლა შეიძლებოდა, ჩემს ეზოში გამოდიოდა. იმ ფანჯარაში თავს გავყოფდი თუ არა, მთელი უბანი ფეხზე იდგა, კარიდან კი რას გავძვრებოდი? სკოლაში ერთი ქალი, ევა გვყავდა. რომ დაინახავდა, ვინმე მიიპარებოდა, გამკივანი ხმით დაიძახებდა: "ბატონო მიშაააა". ჩვენი სკოლის დირექტორს "დობრი მიშას" ვეძახდით. მიხეილ სიხარულიძე საოცარი კაცი იყო. ერთხელ, როგორღაც მოვახერხეთ სკოლიდან გაპარვა, სტადიონზე ვართ და ვიღაცამ დაიძახა, – გაიქეცით, "დობრი" მოდისო. ჩემ გარდა, ყველამ მოახერხა გაქცევა. ვზივარ და ველოდები, როდის მომხვდება ქეჩოში. მომიჯდა და მეკითხება: ბიჭიკო, რომ გაიქცნენ ის ბავშვები, რომელი სკოლის მოსწავლეები არიან, ხომ არ იციო? გამიხარდა, ვიფიქრე, – ვერ მიცნო-მეთქი. მისკენ არც გამიხედავს, ისე ვუპასუხე: მეჩვიდმეტე სკოლელები იყვნენ-მეთქი. რომ მეგონა, გადავრჩი, უცებ ყურში ჩამავლო ხელი: ერთი შენ ხარ მეჩვიდმეტესკოლელი და მეორე ეგენი იყვნენო.

## რუსთავი-თბილისი

– ისე მოხდა, რომ დამამთავრებელ კლასში რუსთავის სკოლაში გადავედი, ამიტომ ყოველდღე მატარებლით მარტო მივდიოდი რუსთავში. ერთ დილით, სადგურზე ვხედავ, წიგნებით ხელში ჩემი კლასელი გოგი წიკლაური დგას. ვეკითხები: "აქ რა გინდა?" რუსთავში მოვდივარო. – იქ რა გინდა-მეთქი? – აბა, მარტო ხომ არ ივლიო. სკოლის დირექტორს, არაჩვეულებრივ ქალბატონ ქსენია ზარქუას ავუხსენი, ჩემი კლასელია და ჩემ გამო აქეთ გადმოდის-მეთქი. იმანაც: მოდი, შვილო, გადმოდიო. დაიწყო ჩვენი თავგადასავლები რუსთავი-თბილისის "ელექტრიჩკებში". ბილეთის ფული ხომ არასდროს გვქონდა. კონდუქტორებს ვემალებოდით, ათას ხრიკს ვხმარობდით. ერთხელაც, გოგი რკინიგზელის კიტელით გამოეცხადა, ნათესავს უჩუქნია მისთვის. იმ დღის მერე კონდუქტორებმა მას თავი დაანებეს და მთელი კუკუდამალობანა მარტოს მიწევდა. ერთ დღესაც, ვზივარ ვაგონში გოგის გვერდით და ამოვიდა კონდუქტორი. რადგან ბილეთი არ მქონდა, გოგი წიკლაურზე მივუთითე, – ამასთან ვარ-მეთქი. ეგ ვინ არისო? – "რკინიგზის თანამშრომელია", – ვუთხარი ამაყად. კონდუქტორმა საბუთები მოსთხოვა და ორივემ სადგურის უფროსის კაბინეტში ამოვყავით თავი. ავდექი და იმ კაცს ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი. გაეცინა, არ არიან ცუდი ბიჭებიო, – თქვა და ორივეს მატარებლით მგზავრობის ერთწლიანი უფასო საშვი გვაჩუქა.

## სატიოს უბანი

– სატიოს უბანი ვერის ქვედა ნაწილი იყო, ვერის ბაღიდან გმირთა მოედნამდე. მთელი ბავშვობა ვერის ბაღში გავატარე. დღისით ბაღის ბატონ-პატრონები თოთო ბავშვები და მათი მეურვეები იყვნენ. იყო დიდი სეირნობა სუფთა ჰაერზე, საბავშვო ეტლებით. მოსაღამოვდებოდა თუ არა, მოზარდები შევდიოდით ბაღში, სადაც ძირითადად, ფეხბურთის გულშემატკივრები იკრიბებოდნენ და თამაშებს არჩევდნენ. იქვე საზაფხულო კინოთეატრიც გვქონდა. ზამთარში ამ კინოთეატრში ნახერხს ყრიდნენ, ჩავეფლობოდით ხოლმე და ისე ვუყურებდით ფილმებს. მერე ნახერხის ჩამოსაცილებლად ერთმანეთის ბერტყვაში ვიყავით. კინოსა და ნაყინის ფულს "ჩვენი შრომით" ვშოულობდით. ბაღში ყომარბაზები იკრიბებოდნენ და ჩვენ, პატარა ბიჭებს "ატანდაზე" დაგვაყენებდნენ. თუ მილიციელი გამოჩნდებოდა, ერთს ჩავუსტვენდით და მოთამაშეები კამათელს სასწრაფოდ დომინოთი ჩაანაცვლებდნენ: ისინიც მოგებულნი რჩებოდნენ იმით, რომ იმედიანად "ყომარობდნენ" და ჩვენც, ნაყინისა და კინოს სამყოფ თუმანს გამოვიმუშავებდით. ვერაზე ყველა ყველასთან მეგობრობდა, ნაცნობობდა. ბელინსკის კუთხეში ნიაზ დიასამიძე შემხვდა: – ბერიკ, სახლში დასალევი ხომ არა გაქვს რამეო? – როგორ არა მაქვს, დამაცადე და ამოგიტან-მეთქი. რა უნდოდა სატიოდან ბელინსკამდე ღვინის ატანას? – წამოგყვებიო. – რატომ უნდა შეწუხდე, ნიაზ მე ამოგიტან-მეთქი. – რას ამბობ, ბიჭო, გზაში არ გაგიტყდესო (იცინის).

ჩვენი ქართლოსის მამა, მწერალი ბატონი დავით კასრაძე უაღრესად ინტელიგენტი კაცი იყო. ერთხელ, შუაღამეს ბატონ დავითს იმ მომენტში გაეღვიძა, როცა მათი სახლის აივანზე ხიდან ქურდი გადაძვრა. რომელი ხარო? – იკითხა დათიკო ბიძიამ. ქურდს შეეშინდა და უკან გადახტა, ამ სიჩქარეში ცალი ფეხსაცმელი გასძვრა იმ კაცს და დათიკოს აივანზე დატოვა. – ჩუსტი დაგრჩა, შვილო, ჩუსტიო, – მისდევდა ქურდს ღამის სამ საათზე საცვლებისამარა დათიკო კასრაძე.

## ხორავას კეთილგანწყობა

– აკაკი ხორავა ერთგვარი კეთილგანწყობით რომ იყო ჩემ მიმართ, ეს მისაღებ გამოცდებზეც გამოჩნდა. საგამოცდო კომისიას ცნობილი რეჟისორი, ბატონი კოწო ანდრონიკაშვილი თავმჯდომარეობდა. ბატონი აკაკი ხორავაც იმ კომისიაში შედიოდა. რაღაცა წავიკითხე, ცოტა ვიმღერე, ცოტა ვიცეკვე, ეტყობა, ცუდი შთაბეჭდილება არ დავტოვე და უცებ, ბატონმა კოწომ შესასრულებლად ასეთი ეტიუდი მომცა: ფრონტზე ხარ, დაბომბეს თქვენი ნაწილი და ბომბმა ფეხი მოგაგლიჯა, ტკივილისაგან გულშეწუხებული გდიხარ. მერე გონს რომ მოხვედი, საშინელი ტკივილი გტანჯავს და უცებ, მდინარის მეორე ნაპირიდან გერმანელების ხარხარი მოგესმა. ამ დროს იქვე, შენთან ახლოს, ტყვიამფრქვევი დაინახე. უნდა მიხოხდე და შური იძიოო. – ვერ გავაკეთებ-მეთქი. – რატომო? – ჯერ ერთი, ეს ერთი შარვალი მაქვს და აქ რომ ვიხოხო, ხვალ გამოცდაზე ვერ მოვალ, მერე კიდევ, რაც თქვენ დამავალეთ, სწორედ მაგის სასწავლებლად მოვედი აქ-მეთქი. ხორავას ხარხარი აუტყდა, სწორია ეს ბიჭი, რას ერჩითო? ასე აღმოვჩნდი თეატრალური ინსტიტუტის პირველ კურსზე.

სტუდენტობის დროს ავად გავხდი, ერთი-ორი დღე არ გამოვჩნდი ლექციებზე. ხორავამ მიკითხა და, – ავად არისო, უთხრეს. მესამე დღესაც რომ არ მივედი, – ბიჭის ამბავი ვინმემ იცითო? როცა გაიგო, რომ არავის მოვუკითხივარ, თვითონ მომადგა სახლში. ორ წუთში მთელმა სატიოს უბანმა გაიგო, ხორავა მოვიდა გივის სანახავადო. გარშემო ეზოებიც მეზობლებით გამოიფინა. ბატონი აკაკი მეორე სართულზე ამოვიდა და ჩვენი უფანჯრო ოთახი დაათვალიერა, სინათლე და ჰაერიც მხოლოდ შუშაბანდიდან შემოდიოდა. გამომკითხა, რა მჭირდა, როდის დავუბრუნდებოდი ლექციებს, ცოტა ხანს გაჩერდა, მერე აივანზე გავიდა და წასასვლელად მოემზადა. უცებ, რას ხედავს? ქვევით ეზოში, მიხო პაპას ხელმძღვანელობით, მეზობლებს დიდი სუფრა გაუშლიათ. – ბატონო აკაკი, თქვენი აქ მოსვლით ამ ბალღს უბანში დიდი საქმე გაუკეთეთ. თუ გვიკადრებთ, მობრძანდითო, – სთხოვეს. იკადრა კი არა, დაჯდა და ამ ჩემს მეზობლებთან ერთად, კარგად მოილხინა.

## "დოსტუპი" ავლიპთან

– ერთხელ მეტყველების პედაგოგი მალიკო მრევლიშვილი მეუბნება: აბა, გივი, გენაცვალე, წარმოიდგინე, რომ მდინარის ერთ ნაპირას დგახარ, ეს მდინარე ძალიან ხმაურიანია, შენ კი მეორე ნაპირზე უნდა გააგონო, – "სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი". დავიწყებდი ბურდღუნს და გამაჩერებდა: როგორ გგონია, გაიგონებდნენ ახლა მდინარის იქითო? ვიწყებდი თავიდან და იმდენჯერ მამეორებინებდა, ვიდრე მიზანს არ მიაღწევდა. – "ემაგრე, გივი, ემაგრე!" – თუ მეტყოდა, ე.ი. კმაყოფილი იყო. სულ გამშვიდებდა, გაწყნარებდა, თაფლივით იყო.

გავიდა წლები. ჩემი მეუღლე, ლეილა კაპანაძე ქალბატონმა მალიკომ ჯერ ასისტენტად დაიტოვა ინსტიტუტში, მერე ლეილა პედაგოგი გახდა და ჯგუფები ჩააბარა. ერთ დღესაც, ლეილასთან დაუწუწუნია, – ვერ ვიძინებ. რაღაც წამალი ყოფილა, იმას ვეძებ, მაგრამ ვერ ვიშოვეო. ლაპარაკი იყო წამალზე, რომელიც აკრძალულ ფსიქოტროპულ პრეპარატად მიიჩნეოდა და ლამის მინისტრამდე უნდა მიგეღწია, რომ გეშოვა. მაშინ დიდი "დოსტუპი" მქონდა ავლიპ ზურაბაშვილთან. მივედი მასთან, მოვუყევი ჩემი გაჭირვება, მომისმინა და მერე მითხრა: მაგ წამალს მოგცემ, მაგრამ მანამდე თეატრზე უნდა ვილაპარაკოთ ცოტა ხანიო. ეს "ცოტა" სამი-ოთხი საათი გაგრძელდა და იმ დღის შემდეგ, ხშირ-ხშირად მიწევდა საქართველოს პირველ ფსიქიატრთან "კონსულტაციები", მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემს მასწავლებელს მშვიდად ეძინა, შვება იგრძნო და სულ მლოცავდა.

## "ლონდრე რომელია?"

– მეტეხში გვქონდა გადაღება, ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი დაახლოებით 40 ბიჭი მწკრივში ვიდექით. პირველ ეპიზოდს ვიღებდით, ჯერ ლონდრე არაა გაშიშვლებული. ერთი დუბლი გადავიღეთ, მეორე, მესამე... ცოტა დავიღალეთ, ჰოდა, დასასვენებლად, იქვე ფერდობზე მდგარ დიდ კაკლის ხეს შევაფარეთ თავი. უცებ, გადასაღებ მოედანზე მანქანა გამოჩნდა, რომელიც რეჟისორის შორიახლოს გაჩერდა. ვიღაც წვერიანი კაცი გადმოვიდა, თურმე, სერგო ფარაჯანოვი ყოფილა. მაშინ ნანახიც კი არ მყავდა. თამაზ მელიავას ჩამოაკითხა. ფარაჯანოვმა იკითხა, – ლონდრე რომელიაო? თამაზმა ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარა: აი, ამ ჯარისკაცებიდან ერთ-ერთია და გამოიცანიო. ფარაჯანოვმა ყველა აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და რეჟისორს უთხრა: შენი არ ვიცი და ამას გადავიღებდიო, – მე არ დამადო ხელი? ბევრმა ისიც თქვა, ჩაწყობილი იყოო, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. ამ ამბის შემდეგაც, ხშირად გვაკითხავდა კასპში გადაღებებზე. ფილმს ოპერატორი ტატო კალატოზიშვილი იღებდა. ის ქართულად თითქმის არ ლაპარაკობდა და გივის მაგიერ ლონდრეს – იძახდა, მერე დაიძახებდა – გმიროოო! კასპელები გაგიჟებულები იყვნენ, ამ პატარა ბიჭმა გმირობა რაში მიიღოო. ერთმა კაცმა სპეციალურად დაგვპატიჟა პურმარილზე. თითო ბოთლი რომ დავლიეთ, მკითხა: შვილო, ეს გმირობა რაში მოგცესო? იმ საღამოს ბევრი ვიმხიარულეთ.

## 50 საათი

– სოფელ შაშიანში კონცერტი გვქონდა. ჩემი ჟიგულით ვიყავი წასული, მანქანაში ჯაჭვზე ჩამოკიდებული საათი მქონდა, რომელსაც თან არ ვატარებდი. დამთავრდა კონცერტი და ალაზანზე დიდი სუფრა გაიშალა. უკვე უნდა წავსულიყავით და რას ვხედავ, საათი აღარ არის. შაშიანელი კანონიერი ქურდი, ბიძინა მანქანაში ჩამიჯდა. შემამჩნია, რომ რაღაცას ვეძებ. მკითხა, – რას ეძებო? მეც ვუთხარი. – ფანჯარა ჩამოწეული გქონდაო? – კი, ღია იყო-მეთქი. ჰოდა, ეტყობა, ვიღაცამ წაიღოო. ალაზანზე ზღაპრულ სუფრასთან 50 კაცი ვსხედვართ. ბიძინამ ოფიციანტს სთხოვა, ერთი კახური ქუდი მოიტანეო. ქუდი ამოატრიალა, საათი მოიხსნა, შიგ ჩააგდო და გამოაცხადა: ჩამოატარეთ ქუდი და ყველამ თქვენი საათი ჩადეთ. შაშიანში გივის მანქანა ღია დარჩა და ვიღაცამ მისი საათი სუვენირად წაიღო. ვიცი, ის მომიტანს იმ საათს და გივის წარწერას გავაკეთებინებ "საჩუქრად გივისგან", მაგრამ აბა, როგორი შაშიანელები ვიქნებით, თუ ჩვენც სახსოვრად სუვენირები არ გავატანეთო? – რას შვრები, კაცო-მეთქი? – ძალიან შევწუხდი, მაგრამ გამაჩერა. აი, ასე მივიღე 50 საათი საჩუქრად. ერთი მათგანი, შავი ციფერბლატით ახლაც მაქვს.

## სამაგიერო

– ერთხელ სესილია თაყაიშვილი დამემუქრა, – იცოდე, შენს ხელში ჭიქა თუ დავინახე, ვეღარ გადამირჩებიო. მაშინ მეორედ გამისკდა კუჭი და ძლივს გადამარჩინეს. პირველ ხანებში წესიერად ვიქცეოდი, მერე ერთი ჭიქა შევაპარე, ერთს მეორეც მივაყოლე და მოკლედ, რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგადაც შევუბერე. ეს ამბავი სესილიას ყურამდე მისულა და ერთ მშვენიერ დღეს, სახლში ტელეფონმა დარეკა. ავიღე ყურმილი. – გივი ხარო? – ვერ ვიცანი სესილიას ხმა. დიახ-მეთქი. უცებ, ყურმილში ისეთი გინება წამოვიდა, დავბერდი კახელი კაცი და მეც არ გამიგონია. გამლანძღა და ბოლოს, ყურმილიც დამიხეთქა. ვიცოდი, რომ ქალბატონ სესილიას შაქარი აწუხებდა და სიგარეტის მოწევა აკრძალული ჰქონდა. ისიც ვიცოდი, რომ ოჯახის წევრებისგან მალულად ეწეოდა და თან, პირდაპირ თავისი საძინებლის ფანჯრიდან გადმოიხედავდა ხოლმე. პირველ სართულზე ცხოვრობდა და ქუჩაში გამვლელებზე ნადირობდა, სიგარეტი რომ ეშოვა. ამ სატელეფონო ტერორის შემდეგ, სამაგიეროს გადახდა განვიზრახე. მივედი მის ფანჯარასთან და დაახლოებით სამი-ოთხი საათი მორჩილად ვიდექი ქუჩაში. და აი, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, მართლაც გაიღო ფანჯარა და პირველივე გამვლელ ახალგაზრდა ბიჭს გასძახა სესილიამ: ბიჭიკო, ერთი ღერი პაპიროსი ხომ არ გაქვს? აი, აქ მეც ჩავერთე: "არა გრცხვენია, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ქალი, დამდგარხარ ამ შუა ბარნოვზე და მათხოვრობ?" სესილია მოულოდნელობისგან ჯერ შეცბა, მერე თავისებური ქოქოლა მომაყარა და შემოეთრიე სახლშიო, – მიბრძანა. მერე კი იცოცხლეთ, მეფერა და დამიყვავა, შენს ჯანმრთელობაზე ვნერვიულობო და ასე შემდეგ.

**ნანული ზოტიკიშვილი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# შესაძლოა, იმიტომაც, რომ თავმდაბალი ვარ...

დღეს ჩვენი სტუმარი ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი, 36 წლის დავით კვირკველიაა.

...ვინც უნდა ყოფილიყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი (თუ ექტორ კუპერს არ ჩავთვლით), ყველა თვალდახუჭული ენდობოდა ამ მართლაც უნივერსალ და საიმედო ფეხბურთელს – დიდი შრომისა და პროფესიონალიზმის წყალობით რომ შექმნა თავისი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა, თანაც, სანაკრებო იქნებოდა თუ საკლუბო დონეზე, ერთნაირი წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა პოზიციაზე: მარცხენა მცველის, მარცხენა ნახევარმცველის, მარცხენა გარემარბისა თუ... საყრდენი ნახევარმცველის.

...ცალკე თემაა დავით კვირკველიას პიროვნული თვისებები. დღესაც ისეთივე თავმდაბალია, როგორიც გავიცანით 2002 წლის ზაფხულში, როცა გივი ნოდიას დიდი დამსახურებით, ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი თბილისის "დინამოში" გამოჩნდა...

**– ყველა "კლასიკურ მემარცხენედ" გიცნობთ და მარცხენა ფლანგზე რა ამპლუაში არ გითამაშიათ; ახლა კი ცენტრალურ მცველად მოგვევლინეთ...**

– პირველად გორის "დილაში" დამაყენეს ცენტრალურ მცველად და ახლა ბათუმის "დინამოშიც" ასეა. სხვათა შორის, "რუბინში" საყრდენ ნახევარმცველადაც მითამაშია, ოღონდ სულ ორჯერ და ისიც მოსამზადებელი პერიოდის მატჩებში. ცენტრალურ მცველად რომ თამაშობ, მეტი აზროვნება გჭირდება, ფლანგზე უკვე სისწრაფე გადადის წინა პლანზე.

**– მარცხენა მცველად პირველად ვინ დაგაყენათ?**

– "დინამოში" შუშაკის დროს 3-5-2 სქემაში მარცხენა ფლანგის კონტროლი მევალებოდა. მერე გია გეგუჩაძე მოვიდა გუნდში და უკვე 4-4-2 სისტემით ვთამაშობდით. მარცხენა მცველად სწორედ გეგუჩაძემ დამაყენა. "ალანიაში" ხანმოკლე პერიოდში ოთხი მწვრთნელი გამოვიცვალე და ამ ცვლილებებმა გუნდს ვერაფერი არგო; საპირისპირო სიტუაცია იყო ყაზანში: "რუბინს" ასეთი შედეგები რომ ჰქონდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით დომინანტი იყო, კლუბის ხელმძღვანელების მხრიდან მთავარი მწვრთნელის, ყურბან ბერდიევის მიმართ ხანგრძლივი ნდობის ფაქტორიც განაპირობებდა.

**– "ალანიაში" გატარებულ პერიოდს როგორ იხსენებთ?**

– "თანამეგობრობის თასი" რომ მოვიგეთ, არაერთი შეთავაზება იყო: კიევის "დინამოდან", "შახტარიდან", "კრილიადან", იმავე "რუბინიდან", სადაც მოგვიანებით მაინც წავედი. არასოდეს ვაქცევდი ყურადღებას "სატრანსფერო საუბრებს" და ვცდილობდი, მუდამ რეალობიდან გამომდინარე მემოქმედა. საბოლოოდ, "ალანიაში" გადავედი და, მართალია, გუნდი გავარდა რუსეთის უმაღლესი ლიგიდან, მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით სხვაობა ძალიან დიდი იყო. პირობითად, აქ თუ ათი კილომეტრი იყო სარბენი, იქ ოცი უნდა გერბინა. პირველი ოთხი ტური კი, საერთოდ, ძალიან გამიჭირდა.

**– თქვენ იმ დროს თამაშობდით "რუბინში", როცა რუსეთ-საქართველოს ომი მოხდა. თუ გრძნობდით აგრესიას ამის გამო?**

– არა, არ მახსენდება ასეთი რამ. იყო მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა: მე და ნუკრი რევიშვილი დუბლებში ვთამაშობდით. ტრავმა ახალი მოშუშებული გვქონდა. "სპარტაკის" დუბლებთან ვთამაშობდით და მაშინ მოხდა პატარა შელაპარაკება. მეტი არასდროს არაფერი ყოფილა.

**– ახლა "რუბინის" შემდგომ პერიოდზე ვილაპარაკოთ...**

– ექვსი თვე "ანჟიში" წავედი სათამაშო პრაქტიკისათვის. იქაც კარგი გუნდი იყო. გაჯი გაჯიევი გახლდათ მთავარი მწვრთნელი. ქართველებისგან ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერი სპეციალისტი იყო. სისტემატური სათამაშო პრაქტიკა მქონდა. სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდოდათ, მაგრამ "რუბინმა" ჩემი დაბრუნება მოისურვა, სადაც ისეთი კონკურენცია იყო, რომ ერთხელ თუ დაგიცდებოდა ფეხი, მერე ძალიან ჭირდა ძირითადში დაბრუნება. ამასობაში, ჩემი კონკურენტებიც მშვენივრად თამაშობდნენ...

**– და, აი, ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ თქვენს კარიერაში ისევ თბილისის "დინამოს" ჯერი დადგა...**

– ძალიან მაგარი ბაზა, ყველანაირი პირობა... ქართული ტიტულები ისევ მოვიგე. თუმცა, 2013 წლის ზაფხულში ჩვენგან ბევრი ითხოვდა ევროტურნირებზე "სტიაუას" თუ "ტოტენჰემის" გავლას. არადა, უბრალოდ, რთულია, როცა ჩემპიონატში არ არის კონკურენცია და უცბად, შენ ასეთ დონეზე უნდა მიაღწიო წარმატებას.

საბედნიეროდ, ამ ახალ სეზონში ჩვენი ჩემპიონატის დასაწყისი ამ მხრივ მაიმედებს. ჯერ თითქოს ყველა გუნდი ერთნაირია, მაგრამ დაძაბულობა არის, ეს ფაქტია. მიმაჩნია, რომ მეორე წრეში უფრო ბევრი რამ გამოიკვეთება... ისევ "დინამოს" თემას დავუბრუნდები. 1+1 სისტემით მქონდა კლუბთან კონტრაქტი. 2014 წელს, ზაფხულში, ჩემპიონთა ლიგაზე "აქტობესთან" მატჩის წინ ნეკნი გავიტეხე. ითქვა, რომ თუ გუნდი ვერ დაძლევდა ამ ბარიერს, გაახალგაზრდავება უნდა დაწყებულიყო. მოკლედ, დავტოვე "დინამო", ოღონდ არანაირი წყენა არ გამყოლია. პირიქით, მადლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობის.

**– სიტყვამ მოიტანა და, ალბათ, ყოველთვის იცავდით რეჟიმს...**

– კი, თუ რეჟიმს არ იცავ, ასაკის მატებასთან ერთად ტრავმების ალბათობაც იმატებს...

**– მერე იყო "სამტრედია"...**

– ძალიან კარგი კონტინგენტი შეიკრიბა. ეგაა, შეთამაშება გვაკლდა. თასის ფინალში 0:5 წავაგეთ "დინამოსთან". ასე ფინალის წაგება იშვიათია, მაგრამ რას ვიზამთ, ხდება. ესაა ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მატჩი ჩემს კარიერაში... არადა, როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად. კარგი კონტინგენტი გვყავდა, მაგრამ შეთამაშებისათვის დრო არ გვეყო

**– და დაბრუნდით "დილაში"...**

– ჩემპიონი გუნდი იყო კარგი ფეხბურთელებით – მარცვალაძე, ნავალოვსკი, გოგუა... მაგრამ ზედ ევროთასების წინ გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და სომხურ "შირაქთან" მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. სხვათა შორის, სწორედ შარშან ზაფხულს, "შირაქთან" წაგების მერე პირველად დავფიქრდი სერიოზულად ფეხბურთიდან წასვლაზე... თუმცა, შემდეგ გადავიფიქრე – ჯერ კიდევ მომდევს ჯანი და რატომ უნდა ვიჩქარო?!

**– ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ და, რატომ უნდა იჩქაროთ წასვლა?**

– ჩემს ასაკში უკვე ძნელია ამაზე ზუსტად საუბარი. ერთი, რაც ვიცი, მიმდინარე სეზონს ჩავამთავრებ. მერე ვნახოთ... როცა შევატყობ, რომ ვეღარ ვთამაშობ, წავალ...

**– საქართველოს ნაკრებში 58 მატჩი ჩაატარეთ. გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ნამდვილად არ არის პატარა რიცხვი. ისე, როგორც არც ის ამბავი მიგვაჩნია უმნიშვნელოდ, როცა ჩვენი ნაკრების, ფაქტობრივად, ყველა მწვრთნელი გენდობოდათ...**

– ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ნაკრებში თამაში. პირველად ალექსანდრე ჩივაძემ დამიძახა ეროვნულ გუნდში – 2003 წელს, შვეიცარიასთან საშინაო მატჩში შედგა ჩემი დებიუტი. ამას რუსეთთან მატჩი უნდა მოჰყოლოდა და კარგად მახსოვს, გულისფანცქალით ველოდი, ვიქნებოდი თუ არა სანაკრებო სიაში...

საერთოდ, ბედნიერი ვარ, რომ ამდენი მატჩი ჩავატარე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. მართლაც, თითქმის ყველა მწვრთნელისგან მქონდა ნდობა. იმავე თემურ ქეცბაიას დროს თითქმის სულ ვთამაშობდი. მაშინ ძალიან კარგად დავიწყეთ...

**– რას ეტყოდით ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

– არ უნდა შეჩერდნენ მიღწეულზე. დღეს საქართველოს ჩემპიონი ხდები? ხვალისთვის მიზნად კიდევ მეტი დაისახე! თუ ფეხბურთელი მიღწეულით დაკმაყოფილდა, მორჩენილია მისი პროგრესის საქმე. არც შრომა უნდა დაიზარონ და ცხოვრებაში რაღაცებზე უარის თქმაც უნდა შეეძლოთ...

**გია ტუხაშვილი**
**ალეკო კაკაურიძე**

## ქართულ-იბერული (მეგრული) ლექსიკონი

გა - გო გა(ზმნის წინსართავი, აღნიშნავს მიმართულებას)
გააფება-გეეფება
გაავდრება-გაქანდარება
გაავებული-გაქანდარებული
გაანგარიშება-ერკება, დოკოროცხუა
გაბერილი-გიდა, გობარილ, ლუმპურია.
გაბერვა-გობარუა
გაბზარული-გოზიორილ,ბარჭყილ
გაბზარვა-გოზიორუა
გაბოლვა-გოლოლუა
გაბოლილი-გოლოლირ
გაბმული-გობუნირ
გაბრაზება-გურმულა
გაბრაზებული-გურმულირ, გურმულირიხე (მდ)
გაბრტყელება-ბერსუა, გოტაბაცუა
გაბრტყელებული-ბერსელ, გოტაბაცერ
გაბრუება-ჟღურაფა, აბორაფა
გაბრუებული -ჟღურაფირ, ჟღურაფირიხე, (მდ.) აბორაფირ, აბორაფირიხე (მდ)
გაგება-გეგა, გაგება
გაგებული-გეგუერ, გეგუერიხე(მდ.), გაგებურ, გაგებურიხე(მდ)
გაგლესვა-გეზალიქუა, გოსირსოლუა, გოფირსუა
გაგლესილი-გეზალიქერ, გოსირსოლირ, გოფირსელ
გაგონება-მორჩქილა, გეგაფ
გაგორება-გორგინაფა
გადაბმა-კაღულუა, გინაბუნაფა
გადასასვლელი-გონაულარ, მოხონ
გადამდინარება-გოჩგოჩანა
გადასვლა-გინულა
გადასახედი-გინაჯინალ, გინარენჯ
გადაქექვა-ალაბარჯღუა, გონოქექუა
გადაღმა-გინოხ
გადაღმელი-გინოხონ
გადაწვა-გინოჭუალა, გოფექარუა
გადაწყვეტილება-გინოჭყვალადა, ევაკინა
გადაწყვეტილი-გინოჭყვადა, ევაკინერ
გადახდა-გაფა, გინოგაფა
გადახდილი - გაფირ, გინოგაფირ
გადახნა-გინოხონუა
გადახნული-გინოხონირ, გომნოხონ
გადახლართვა-ბიკარუა, გინობიკარუა
გადახლართული-ბიკარელ, გონობიკარელ
გადახრა-მერთა, მერთულა
გადახრილი-მერთელ
გადგმა-გინოდგუმა
გადადგმული-გინოდგუმირ
გადნობა-ნდღულაფა
გადნობილი-ნდღულაფირ
გადრეკა-გოდირაკა, გორდელაფა
გადრეკილი-გოდირაკილ, გორდელაფირ
გაერთიანება-აკორა, გაართაფა, მოდგამურ

**მალხაზ-ლაზარე გრიგოლია**

## ლოტბარ ძუკუ ლოლუას ხსოვნას პატივი მიაგეს



2017 წლის 8 აპრილს ქალაქ ფოთში გამოჩენილი ქართველი ლოტბარის, ფოლკლორის ამაგდარისა და პოპულარიზატორის, საზოგადო მოღვაწის, მეგრული სიმღერის პატრიარქის, ძუკუ ლოლუას ხსოვნას პატივი მიაგეს. რუსთაველის რკალზე, ხელოვნების სკვერში, ძუკუ ლოლუას დაბადებიდან 140 წლისთავი ღონისძიებით აღინიშნა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფოთის სალოტბარო სკოლის გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი", ლოტბარ იროდი ტიკარაძის ხელმძღვანელობით.

## იუმორი

კაცი შედის ზოომაღაზიაში:
– თუთიყუში თუ გყავთ გასაყიდად?
– არა, მაგრამ კოდალა გვყავს...
– ლაპარაკი თუ შეუძლია?
– მხოლოდ მორზეს ანბანის საშუალებით...

* * *

კაცს ტილები ჰყავს და წავა ექიმთან.
– ექიმო, ტილები მყავს და რამე წამალი მითხარი.
– შენნაირ ტილიანს მიადე თავი. ტილები იბრძოლებენ და დაიხოცებიან.
მეორე დღეს მიდის ისევ კაცი და ექიმს საყვედურობს:
– ექიმო, ეს რა მიქენი. იბრძოლეს ჩემმა ტილებმა, ბრძოლა მოიგეს და ტყვეებიც აქეთ წამოიყვანეს...

* * *

მიხოს მშობელი დაიბარეს სკოლაში. მივიდა მამამისი.
– იცით, თქვენმა შვილმა ბოზი მიწოდა!..
– არა გრცხვენია?! – აღშფოთდა მამა, – მასწავლებელი გასწავლის, შენთვის წვალობს, რომ კაცი გამოხვიდე, ზრუნავს... რა შენი საქმეა, სამსახურის მერე რას აკეთებს?!


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში,* **C**-*ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge